პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 207 (19849) ◆ კვირა, 8 სექტემბერი, 1985 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

მოწინავეთა მხარდამხარ

20 წელია თბილისის ჩარხსაშენებელი საწარმოო გაერთიანების ს. კიროვის სახელობის მეთაური ქარხნის სპეციალური ჩარხების საამწყობო საამქროში შრომობს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირი, სკკპ წევრი ვლადიმერ ტურანოსოვი, რომელმაც ამ ხნის მანძილზე ბევრ ახალგაზრდა მუშას მისცა ცხოვრების საგზური. მათი უმრავლესობა თავისი საქმის სპეციალისტი გახდა.

სურათზე: ამწყობი ზეინკალი სულიკო ავლოხოვი ეთათბირება თავის დამრიგებელს ვლადიმერ ტურანოსოვს.

ფ. კრიმსკის ფოტო.

დასავლეთ ციმბირის კომპლექსის განვითარება საერთო-სახალხო საქმეა

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ტიუმენისა და ტომსკის ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე 1985 წლის 6 სექტემბერს

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით მ. ს. გორბაჩოვი მხურვალედ და გულითადად მიესალმა მენავთობეებსა და გაზის მრეწველობის მუშაკებს, გეოლოგებსა და მშენებლებს, ტრანსპორტის მუშაკებსა და ენერგეტიკოსებს, მეცნიერებს — ყველას, ვინც თავისი თავდადებული მუშაობით, ნებისყოფით, ენერგიით სიცოცხლე შთაბერა ოდესღაც მიყრუებულ სივრცეებს, შექმნა აქ ქვეყნის მთავარი სათბობ-ენერგეტიკული ბაზა.

საბჭოთა ხალხისათვის ტიუმენი, თქვა მან, ასიათასობით მუშის, სპეციალისტის შრომითი გმირობის სიმბოლო გახდა. მის წიაღში მოპოვებული ნავთობი და გაზი ათასობით კილომეტრის გავლით მივიდა ჩვენი ქვეყნის ყველაზე დაშორებულ კუთხეებში და მისი ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომი ზრდის საიმედო საფუძველი გახდა.

საბჭოთა ადამიანები, პარტია ამაყობენ თქვენი პატრიოტული საქმეებით, ამხანაგო ციმბირელებო!

ნავთობისა და გაზის მომპოვებელი მრეწველობა ჩვენი ეკონომიკის საბაზო დარგია, ხოლო დასავლეთ ციმბირის კომპლექსი — ამ დარგის გული. მისი მუშაობის რიტმი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებებს. აი რატომ არის, რომ პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში ამ კომპლექსის განვითარებას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ეკისრება.

ცენტრალური კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დღევან-[illegible]

...რების, მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევათა დანერგვის დაჩქარების დიდი ღონისძიებანი. მომზადებულია დოკუმენტები მთელი რიგი ერთგვაროვანი დარგების ჯგუფების მართვაზე გადასვლის შესახებ. ჩემი აზრით, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე დადებითს გავლენას მოახდენს დადგენილება, რომელიც ახლა მზადდება ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან საკითხზე — შრომითი რესურსების გამოყენებაზე..

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებია მიღებული სოციალურ საკითხებზეც, რომლებსაც წინათაც შევეხებივარ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი სავსებით ითვალისწინებს, რომ ხალხი პარტიის პოლიტიკის შესახებ მსჯელობდა და კვლავ იმსჯელებს არა სიტყვების, არა მიღებული, თუნდაც სწორი დადგენილებების რაოდენობის მიხედვით, არამედ პრაქტიკული საქმეების, კონკრეტული შედეგების მიხედვით.

აი რატომ არის, რომ ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მათი რეალიზაციისადმი კონტროლისათვის მუშაობის ორგანიზაციას. სწორედ ასეთი მუშაობა უნდა იყოს მთავარი კრიტერიუმი პარტიული კომიტეტებისა და ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების საქმიანობის შეფასებისას. სხვაგვარი მიდგომა უბრალოდ მიუღებელია. თითოეულმა, რა მუშაობასაც უნდა ეწეოდეს იგი საზოგადოებაში, მთლიანად უნდა აგოს პასუხი დაკისრებული საქმისათვის, [illegible]

[illegible]

...რი დონის ამაღლებისა და მისი განვითარების დაჩქარების, შავი მეტალურგიის რეკონსტრუქციის, საპროექტო საქმის სრულყოფისა და მთელი კაპიტალური მშენებლობის გაუმჯობესების, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის, გამოთვლითი ტექნიკის გამოშვებისა და სახალხო მეურნეობაში მისი გამოყენების გაფართოების ვრცელი პროგრამები და სხვა. განისაზღვრა ქვეყნის ზოგიერთი რეგიონის საწარმოო ძალების განვითარების პერსპექტივები.

ზორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმული-[illegible]

...არის ტიუმენის ოლქის მშრომელთა ნახევარმილიონიანი მრავალეროვანი რაზმის დაძაბული მუშაობის შედეგი.

ცხადია აგრეთვე, რომ ისეთი ნავთობ-გაზის გიგანტი, როგორიც დასავლეთ ციმბირის კომპლექსია, მხოლოდ მთელი ქვეყნის, ყველა რესპუბლიკის მეცადინეობით შეიძლებოდა შექმნილიყო. უკრაინისა და ბელორუსიის, უზბეკეთის, ბალტიისპირეთისა და სხვა რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის, რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მშრო-[illegible]

...დრების დამკვიდრებასთან დაკავშირებულ სოციალურ საკითხთა კომპლექსის გადაწყვეტას. ამ მიზნებისათვის გამოყოფილია დიდი სახსრები და რესურსები, და ისინი ყაირათიანად უნდა გამოვიყენოთ.

მ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა, რომ ციმბირელებმა სულ უფრო რთული და პასუხსაგები ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. ნიადაგ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ: ტიუმენის მენავთობეთა და გაზის მრეწველობის მუშაკთა წარმატებები განამტკიცებენ ქვეყნის ძლიერებას, აჩქარებენ მის ნაბიჯს, წარუმატებლობა კი აბ-[illegible]

...ლად, გარღვევათა ლიკვიდაციის ორგანიზაციად გადაიქცა.

არადა, ტიუმენისა და ტომსკის ოლქებში აქვთ ყურადსაღები გამოცდილება. ბევრი შესანიშნავი შრომითი წარმატება „იუგანსკნავთობგაზის", „ტომსკნავთობის", „ნადიმგაზმრეწვის" საწარმოო გაერთიანებების, „ჩრდილოეთმილსადენმშენის" ტრესტის, სურგუტის საბურღ სამუშაოთა № 2 სამმართველოსა და ბევრი სხვა კოლექტივის ანგარიშზე. ტიუმენის ოლქში არიან მბურღავთა ბრიგადები, რომელთა ბურღვისას გავლა წელიწადში 100 ათას მეტრს აღემატე-[illegible]

...წიაღის მარაგების კარდინალურად უნდა გაზარდონ მუშაობის ეფექტიანობა. ისინი ვალში აღმოჩნდნენ მენავთობეთა წინაშე. ბოლო ათწლეულის მანძილზე დასავლეთ ციმბირში დაზვერილი მარაგით ნავთობის მოპოვების უზრუნველყოფა არსებითად შემცირდა და საშუალო დარგობრივ დონეს გაუტოლდა. შესამჩნევად მცირდება ამ რეგიონში ნავთობის მოპოვების უპირატესი ზრდის შესაძლებლობანი. მაშასადამე, გეოლოგიის სამინისტრო უფრო სრულად უნდა ითვალისწინებდეს მეცნიერების [illegible]

(დასასრული მე-2 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის შეხვედრები ცელინოგრადის მიწა-წყალზე

ცელინოგრადი, 7 სექტემბერი. (საკტესი). დღეს დღის პირველ ნახევარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ცელინოგრადის ოლქის შორტანდის რაიონს, სადაც მინდვრებში დაათვალიერა ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნიმუშები, შეხვდა და ესაუბრა მექანიზატორებს, გაეცნო საბჭოთა კავშირის სამარცვლე მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქმიანობას.

მანქანების დათვალიერებისას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ინტენსიური ტექნოლოგიის აგრეგატებს. ნაჩვენები იყო თვითმავალი სამკელის „სტეპის" მუშაობა, რომლის მოდების სიგანე 17 მეტრს უდრის, რის მეოხებით რამდენჯერმე მაღლდება შრომის ნაყოფიერება, 13 მე-[illegible]

...მუშაობის საშუალო გამომუშავება, ის, თუ როგორი სამკელები გამოიყენება, როგორია წებოვანას პროცენტული შემცველობა მარცვლეულში, რა ეკონომიკურ სტიმულებს მიმართავენ მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად.

მიწათმოქმედებაში სტაბილურობის, მარცვლეულის უხვი მოსავლის მოსაყვანად ინტენსიური ტექნოლოგიის შექმნა, მეცნიერების როლი სოფლის მეურნეობაში — ამის შესახებ გაიმართა ყოველმხრივი სჯა-ბაასი საბჭოთა კავშირის სამარცვლე მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითს ინსტიტუტში. აღინიშნა, რომ ყაზახეთში ყოველი მესამე ჰექტარი სახნავი ბიცობიანია. ამასთან დაკავშირებით ინსტიტუტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნიადაგის დამუშავებისათვის სპეციალური იარაღის შექმნას. აქ ამუშავებენ [illegible]

...სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. კ. ანტონოვი და ზ. ნ. ნურიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ვ. ა. კარლოვი, გ. პ. რაზუმოვსკი, ა. ნ. იაკოვლევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველი ნ. ე. კრუჩინა.

ნაშუადღევს ცელინოგრადში გაიმართა ყაზახეთის ოლქების, ციმბირისა და ურალის მხარეებისა და ოლქების პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, სოფლის მეურნეობასა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა მ. ს. გორბაჩოვმა.

განხილულ საკითხთა გამო გა-[illegible]

[illegible]

...ბის გამოყენების, ბრიგადის კოლექტიური იჯარით მუშაობის უპირატესობათა თაობაზე. პირადი შრომითი გამოცდილებით იცნობს რა კომბაინერის მუშაობის სპეციფიკას, მ. ს. გორბაჩოვმა დაწვრილებით გამოიკითხა მარცვალასაღები აგრეგატით მუ-[illegible]

...მოგზაურობისას მ. ს. გორბაჩოვთან ერთად იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. პ. ნიკონოვი, [illegible]

...ბის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ციმბირის განყოფილების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ლ. გონჩაროვი, ტიუმენის ოლქის უპოროვოს რაიონის საბჭოთა მეურნეობა „იმურტლინსკის" დირექტორი ვ. ქ. სემიონოვი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

უხეში დარღვევებისათვის პასუხს აგებინებენ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში უხეში დარღვევების საკითხი.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გამოვლენილია თბილისის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შესვლისას შეღავათების მიღების მიზნით მოსწავლეთა შრომითს მოწყობაში დაშვებული უხეში დარღვევების ფაქტები.

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების თანახმად წარმოებას მოუწყვეტლივ უწინარეს ყოვლისა სხვა კატეგორიებთან ერთად ირიცხებიან პირები, რომლებსაც აქვთ არჩეული სპეციალობით პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ექვსი თვის სტაჟი. მომავალი აბიტურიენტების ცალკეული მშობლები, მათ შორის პასუხისმგებელი მუშაკები, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა უკანონო ხელშეწყობით თავიანთ შვილებს აწყობდნენ თანამდებობებზე, რომლებიც არ შეიძლება დაიკავონ მოსწავლეებმა, პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მიღების მიზნით, რაც იძლევა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უპირატესი ჩარიცხვის უფლებას.

თბილისის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და მიმღები კომისია, გამოიჩინეს რა ამ საკითხისადმი შეუწყნარებელი ფორმალური მიდგომა, პროფილით პრაქტიკული მუშაობის სტაჟად უთვლიდნენ უფროსკლასელებს იურისკონსულტებად, იურისტ-პრეტენზიონისტებად, კადრების განყოფილებათა ინსპექტორებად მუშაობას დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და შეღავათიანი პირობებით რიცხავდნენ ასეთ აბიტურიენტებს იურიდიულ ფაკულტეტზე.

ამავე დროს, ნორმატიული დოკუმენტების თანახმად, იურისკონსულტის თანამდებობაზე ინიშნებიან პირები, რომლებსაც უმაღლესი იურიდიული განათლება აქვთ. გამონაკლის შემთხვევებში ამ თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნონ პირები, რომლებსაც არა აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება, მაგრამ აქვთ იურიდიული სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა სამი წლის სტაჟი, ან სწავლობენ უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების ბოლო კურსებზე. კადრების განყოფილებათა

(დასასრული მე-2 გვ.)

ინდოეთის მიუმხრობლობის მოძრაობის შემსწავლელ ინსტიტუტს

გულწრფელ მადლობას მოგახსენებ ინდოეთის მიუმხრობლობის მოძრაობის შემსწავლელი ინსტიტუტის ხელმძღვანელობას გულთბილი, მეგობრული წერილისათვის, საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული საგარეოპოლიტიკური ინიციატივების მხურვალე მხარდაჭერისათვის, რომელთა მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან [illegible]

...როდ, ამის მიღწევა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ამ საკითხზე ჩვენი ბოლო ინიციატივა ყველას როდი მოეწონა დასავლეთში. ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არ იჩენს სურვილს მიბაძოს საბჭოთა კავშირის მაგალითს, რომელმაც ცალმხრივი წესით შეწყვიტა წლის დამლევამდე ბირთვული აფეთქებანი. ვაშინგტონი განაგრძობს გამალებული შეიარაღების გაძ-[illegible]

...ვის მას შემდეგ, რაც იგი გაჩნდა. კვლავაც თანამიმდევრულად განვაგრძობთ ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილების, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნების გზების ძიებას.

განიარაღების დარგში პრაქტიკული ღონისძიებანი საშუალებას მოგვცემდა გამოგვეთავისუფლებინა კოლოსალური სახსრები და ჩაგვეყენებინა ისინი კაცობრიობის მშვიდობია-[illegible]

...საქმეში ინდოეთის წვლილს. 700-მილიონიანი მშვიდობისმოყვარე ინდოელი ხალხის ხმას ყურად იღებენ არა მარტო აზიაში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. არის რა მიუმხრობლობის მოძრაობის აღიარებული ლიდერი, ინდოეთი ბევრს აკეთებს მისი განმტკიცება-განვითარებისათვის.

ჩვენი ღრმა რწმენით, სსრ კავშირისა და ინდოეთის დინამიკურად განვითარებადი მეგობრობა და თანამშრომლობა, მშვიდობისადმი მათი ერთგულება თერმობირთვული ომის საშიშროების თავიდან აცილების, ქვეყნად სიცოცხლის შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

მ. გორბაჩოვი.

ოპერა „დაისი" ერევანში

ერევანი. ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე გაიმართა ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისის" პრემიერა. ერევნელები მეორედ ხვდებიან ამ კლასიკურ ნაწარმოებს. პირველად „დაისი" დაიდგა 1942 წელს, დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა გამოცდას აბარებდა საბჭოთა ხალხების ურღვევი ძმური მეგობრობა. მაშინ სპექტაკლში მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო მსახიობები. [illegible]

...სახელობის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ზურაბ ანჯაფარიძე.

პრემიერაზე მთავარ როლებს ასრულებდნენ სომხეთის სსრ სახალხო არტისტები ელვირა უზუნიანი (მარო), არშავირ კარაპეტიანი (კიაზო), დავით პოღოსიანი (ცანგალა), სოლისტები ოვანეს ბასტაჯიანი (მალხაზი), მარიეტა შახვერდიანი (ნანო), მარიჩ დავთიანი (ტიტო).

სპექტაკლმა დიდი წარმატებით ჩაიარა და სომეხი და ქართველი ხალხების ხელოვნების, მთელი საბჭოთა ხელოვნების ნამდვილ [illegible]

...კ. ს. დემირჩიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები, რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

პრემიერის შემდეგ საქინფორმის სპეციალურმა კორესპონდენტმა ლ. აზროიანმა სპექტაკლის მონაწილეებს სთხოვა აზრი გაეზიარებინათ.

ვალერი ასათიანი, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი — სომხეთისა და საქართველოს [illegible]

(დასასრული მე-4 გვ.)

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

(დასასრული)

რეკომენდაციების საძიებო-სადაზვერვო სამუშაოთა მიმართულებებისა და მასშტაბის არჩევაში.

სერიოზულად აფერხებს ნავთობ-გაზის კომპლექსის განვითარებას ელექტროენერგეტიკა. ელექტრომომარაგების არასაკმარისი საიმედოობა იწვევს ნავთობისა და გაზის დიდ დანაკარგებს, მშრომელთა სამართლიან საყვედურებს.

სურგუტის შეხვედრები და საუბრები ცხადყოფენ, რომ ელექტროსადგურების მშენებლებს შეუძლიათ საქმე წარმართონ სწრაფი ტემპით და კარგი ხარისხით. მაგრამ საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მე-3 ენერგობლოკის ამოქმედების ვადები, რადგან არა აქვთ საჭირო მოწყობილობა. მათ უნდა დავეხმაროთ.

ახლა რაც შეეხება რეგიონში კაპიტალური მშენებლობის პრობლემებს. მის გაქანებას ამჟამად მართლაც არა აქვს ბადალი. აქ სამუშაოთა მოცულობის მიხედვით ყოველ წელს თითქოს ორი ვოლგის ავტოქარხანა, ხოლო ყოველ ორ წელიწადში ბამი შენდება, ფართოდ არის ცნობილი, რომ ციმბირელები სამრეწველო ობიექტების აგების მოწინავე კომპლექტურ-ბლოკური მეთოდის ინიციატორები არიან. და მაინც კაპიტალურ მშენებლობაში არსებული საქმის ვითარება აფერხებს მრავალი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტას. სათანადო გაქანებით არ უდგებიან მათ სახმშენის, სამშენებლო სამინისტროების, შემკვეთი სამინისტროების ხელმძღვანელები.

ყოველთვის, როცა დგება ახალი ამოცანები ნავთობ-გაზის კომპლექსის განვითარებაში, იძულებული ვართ სასწრაფოდ მივიღოთ ზომები და გავიღოთ დიდი დამატებითი ხარჯები. და აი ახლაც, როცა საჭიროა დავაჩქაროთ სუპერბლოკების დახმარებით გაზის იმიერპოლარეთის მოწყობა, ნავთობგაზმშენის სამინისტრო კვლავ მოუმზადებელი აღმოჩნდა ამისათვის.

ასეთი დაგვიანებებით საჭირო ტემპს ვერ მიაღწევ, განსაკუთრებით ახლა, როცა დასავლეთ ციმბირის კომპლექსის მშენებლობაში უფრო პასუხსაგები ეტაპი დგება. მომავალ ხუთწლედში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. ეს ნიშნავს, რომ მოგვიწევს შევასრულოთ ჩვენი ქვეყნისთვისაც კი უზარმაზარი მშენებლობის პროგრამა.

მაგრამ საქმე უნდა ეხებოდეს არა უბრალოდ კაპიტალური მშენებლობის მოცულობებს, არამედ მის ხარისხსაც და საერთოდ ყოველივე იმის საიმედოობას, რაც ჩაფიქრებული გვაქვს, რასაც ვგეგმავთ, ვაშენებთ, ვქმნით. საიმედოდ — მაშასადამე მყარად, ეფექტიანად, შეუფერხებლად და ხანგრძლივად. ეს ახალი ტერიტორიების ათვისებასაც ეხება.

მშენებლობის უფრო სწრაფი ტემპის მისაღწევად კიდევ ერთხელ უნდა მივუბრუნდეთ საჭირო ტექნიკით მშენებლების უზრუნველყოფის, თვით მშენებელთა საყოფაცხოვრებო, უწინარეს ყოვლისა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის მუშაობის მასშტაბის გაფართოების საკითხს.

მინდა შეგახსენოთ კიდევ ერთი გაკვეთილი, რომელსაც გვაძლევს ტიუმენის წიაღის ათვისების გამოცდილება. მიღწეულმა წარმატებებმა ზოგიერთების გულარხეინობა გამოიწვია. ვერ გეტყვით, მუნდირის ღირსების, თუ კიდევ რა მოსაზრებით იყო, მაგრამ ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ვერ დაინახა ან არ მოისურვა დაენახა რეალური ვითარება, შეეფასებინა იგი, მოეხსენებინა ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობისათვის. ასე არ შეიძლება, ამხანაგებო. ძნელია სწორად წარმართო საქმე, თუ არა გაქვს ობიექტური ინფორმაცია. ასეთი მიდგომის დროს გარდაუვალია ახალი შეცდომები და ხარვეზები. უდიდესი მასშტაბის საქმეთა დროს კი ამან შეიძლება უდიდესი დანაკარგები გამოიწვიოს.

ამასთან დაკავშირებით დროულად მიმაჩნია შეგახსენოთ, თუ რას გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი. მას არაერთხელ უთქვამს, რომ ჩვენ ყველაფერში და ყველგან უნდა ვიცავდეთ სიმართლეს, როგორიც უნდა იყოს იგი. ყოველგვარმა შელამაზებამ შეიძლება მხოლოდ ავნოს ჩვენს დიად საქმეს. ლენინის ეს ანდერძი ჩვენი ცხოვრების ნორმა უნდა გახდეს.

ადამიანებისადმი დამოკიდებულება, მათთვის ზრუნვა ჩვენი პოლიტიკის მთავარი საკითხია. ათვისების ახალი რაიონებისათვის კი იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ეს ტიუმენის საოლქო კომიტეტში თითქოს ესმით, მაგრამ, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ სწვდებიან. ხალხისათვის ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნის საკითხებს პარტიის საოლქო კომიტეტი და სამინისტროები უნდა ეკიდებოდნენ, როგორც თავიანთი საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებას.

ციმბირის შემდგომი განვითარების ახალ, უფრო რთულ ეტაპს უნდა შეესაბამებოდეს აქ ყველა სამუშაოს ორგანიზაციის ახალი, უფრო მაღალი დონე. საჭირო წანამძღვრები ამისათვის გვაქვს. ტიუმენს ჰყავს ნაწრთობი, გამოცდილი, პარტიის საქმის ერთგული კადრები, აქ მოქმედებს კომუნისტთა ბრძოლისუნარიანი მრავალათასიანი რაზმი. ასეთ კოლექტივს ხელეწიფება დასახული ამოცანების გადაწყვეტა.

როცა აქ, უდიდეს დასავლეთ ციმბირის მხარის ცენტრში ვიმყოფები, თქვა შემდეგ მ. ს. გორბაჩოვმა, მინდა მოკლედ შევეხო მთლიანად ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს.

ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის საწარმოო ძალების დაჩქარებული განვითარება პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დღეს ციმბირი — ეს არის დიდად განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, გრანდიოზული მშენებლობანი, მძლავრი სახალხო-სამეურნეო კომპლექსები. ეს არის ქვეყნის ენერგეტიკული მომარაგების ძირითადი ბაზა. ეს არის ათობით დიდი თანამედროვე ქალაქი, უდიდესი, საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო და კულტურული ცენტრები.

მაგრამ რაოდენ დიდიც უნდა იყოს ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მნიშვნელობა ქვეყნის ბედისათვის დღეს, ჩვენ ყველას ნათლად გვაქვს წარმოდგენილი, რომ ხვალ ამ რეგიონის როლი განუზომლად გაიზრდება.

და ამიტომ, როცა ყველაზე გადაუდებელ ამოცანებს ვწყვეტთ, დღეს უნდა ვიხედებოდეთ ძალიან წინ, ასე ვთქვათ, მომავალ საუკუნეში. ჩვენ გვჭირდება ზუსტი წარმოდგენა იმისა, თუ როგორ გამოვიყენოთ უფრო რაციონალურად და ეფექტიანად ციმბირის მიწის კოლოსალური საწარმოო და ეკონომიკური შესაძლებლობანი.

სწორედ ასეთი თვალსაზრისით მიუდგა საქმეს ნოვოსიბირსკში ამას წინათ გამართული საკავშირო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა ციმბირში საწარმოო ძალების განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებს. ცენტრალური კომიტეტი მხარს უჭერს ამ კონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებებს, რომ საჭიროა გადავიდეთ ციმბირში წარმოების ყოველმხრივ ინტენსიფიკაციაზე, მოპოვებული ნედლეულის ღრმა და კომპლექსურ გადამუშავებაზე, თავი მოვუყაროთ აქ ისეთი ენერგოტევადი დარგების საერთო-საკავშირო წარმოების მზარდ წილს, როგორიც არის შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური და ნავთობქიმიური, მიკრობიოლოგიური და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა, ეფექტიანი საშენი მასალების წარმოება.

ყველაზე დიდ ყურადღებას იმსახურებს მანქანათმშენებლობის საწარმოების განვითარებისა და ხელახალი ორიენტაციის დაჩქარების, შედარებით შრომატევადი და რეგიონის ძირითად საჭიროებებთან ნაკლებად დაკავშირებული პროდუქციის გამოშვებისაგან მათი განთავისუფლების წინადადებანი.

პოლიტბიურომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, მეცნიერებათა აკადემიას, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სამინისტროებსა და უწყებებს და რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს დაავალა განიხილონ და გამოიყენონ კონფერენციის რეკომენდაციები ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მეთორმეტე ხუთწლედისა და 2000 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შემუშავებისას.

ციმბირის, ისევე როგორც, მთლიანად ქვეყნის მომავლის საკვანძო საკითხია ეკონომიკური ზრდის ტემპის საკითხი.

ერთი სიტყვით, სამეურნეო განვითარების მყარი ტემპის შესანარჩუნებლად საჭიროა ღრმად მოფიქრებული წარმოების ორგანიზაცია, რომელიც გაითვალისწინებს რეგიონის არა მარტო დღევანდელ, არამედ პერსპექტიულ ამოცანებსაც, მთლიანად ქვეყნის მოთხოვნილებებს.

ამას მივყავართ ბევრ სხვა პრობლემასთან, რომლებიც მეტად მწვავედ დგას ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ეკონომიკის წინაშე.

მომპოვებელ დარგებში კაპიტალდაბანდებათა ეფექტიანობის ამაღლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზაა ადგილებზე ნედლეულის ღრმა, კომპლექსურ გადამუშავებაზე გადასვლა. უნდა ავიღოთ აქ ურთიერთშემვსებ წარმოებათა განვითარების კურსი. ასეთი გამოცდილება უკვე გვაქვს: მაღალეფექტიანი ტერიტორიულ-საწარმოო კომპლექსები უკვე შექმნილია და მოქმედებს ქვეყანაში. ისინი საშუალებას გვაძლევენ 15-20 პროცენტით დავზოგოთ კაპიტალდაბანდებანი და მნიშვნელოვნად შევამციროთ საექსპლოატაციო ხარჯები.

გასაგებია, რომ ყოველივე ამას უშუალო დამოკიდებულება აქვს ენერგოსანედლეულო, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენების პრობლემასთან. ამ პრობლემის მასშტაბი და მნიშვნელობა რომ შევაფასოთ, საკმარისია მხედველობაში მივიღოთ ის, რომ სათბობი, ნედლეული და მასალები ქვეყნის საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებისათვის დანახარჯების ნახევარზე მეტს შეადგენენ. ამასთან დარგები, რომლებიც გვაძლევენ ნედლეულსა და სათბობს, ყველაზე კაპიტალტევადი და ყველაზე შრომატევადი დარგებია. აქედან ცხადი ხდება, თუ რატომ აქვს სახალხო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის, ჩვენი საზოგადოების მთელი განვითარების დაჩქარებისათვის უპირველესი მნიშვნელობა აქტიურ რესურსდამზოგავ პოლიტიკაზე გადასვლას.

ამასთან დაკავშირებით ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი ქვეყანაში გაშლილ კამპანიას მომჭირნეობისა და ყაირათიანობისათვის. ამ თემას კარგად აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი, განსაკუთრებით პრესა, რაც უეჭველ სარგებლობას იძლევა.

მაგრამ მეტის მიღწევაც შეიძლებოდა. ამას მოწმობს უკრაინის გამოცდილება, სადაც ბოლო ოთხ წელიწადში პროდუქციის მასალატევადობის შემცირების ტემპმა ერთიორად და მეტად გადააჭარბა საგეგმო დავალებებს. რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებაში ექცევა ნახევარ მილიარდ ტონაზე მეტი მეორეული რესურსები და ნარჩენები, საერთო რესურსმოხმარებაში მათმა ხვედრითმა წილმა 12 პროცენტს მიაღწია. ეს ერთიორად აღემატება საერთო-საკავშირო დონეს.

აქ, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთში, სათბობისა და ნედლეულის მოპოვების კონცენტრაციის ადგილებში მათი კომპლექსური გამოყენების უმეტესი შესაძლებლობებია. მაგრამ ტიუმენის ოლქში ნავთობის გაზის მნიშვნელოვანი რაოდენობა დღემდე ჩირაღდნებში იწვის. ამიერიდან ასეთ მდგომარეობას ვერ შევურიგდებით. თანამდევი გაზის გამოყენების პრობლემა დაჩქარებული ტემპით უნდა წყდებოდეს. ვერ დაგვაკმაყოფილებს ვერც ის, თუ როგორ მიმდინარეობს ნავთობის გადამუშავების სიღრმის გადიდებისათვის მუშაობა.

ასეთი უყაირათობის ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება სხვა დარგებისა და საწარმოების მიხედვით. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ყველაზე ცუდად ხე-ტყის გამოყენების საქმეა. ციმბირში დამზადებული კუბური მეტრი მერქნისაგან იწარმოება ორჯერ ნაკლები საბოლოო პროდუქცია, ვიდრე მთლიანად ქვეყანაში.

მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერება უნდა დავაყენოთ მტკიცე საგეგმო და ორგანიზაციულ საფუძველზე, გავხადოთ მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. უკვე 1986 წელს უნდა შევამციროთ ეროვნული შემოსავლის ენერგოტევადობა 3,2 ხოლო ლითონტევადობა — 3 პროცენტით. ეს მეტად სერიოზული ამოცანაა. რესურსების დაზოგვის ამგვარი ტემპი ჯერ არ გვქონია.

არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ და არც დავუჭერთ ისეთ ხელმძღვანელებს, რომლებსაც ორიენტირად გაუხდიათ წინანდელი მიდგომა, მოძველებული ნორმები, წარმოების ზრდის ტემპის დაჩქარებას დამატებითი მატერიალური რესურსების მიღებას უკავშირებენ.

და აი, კიდევ რას უნდა მივაპყროთ ყურადღება. მიმდინარე ხუთწლედში მარაგში საბრუნავი სახსრების ზრდის ტემპი უსწრებს წარმოების მოცულობის ზრდის ტემპს. სახალხო-სამეურნეო ბრუნვიდან ამ სახსრების ამოღება მთლიანად აქარწყლებს მატერიალური რესურსების დაზოგვით მიღებულ ეფექტს.

ამ საკითხის გადაწყვეტა სავსებით ხელეწიფებათ ადგილობრივ სამეურნეო ხელმძღვანელებსა და სპეციალისტებს. აქ არ არის საჭირო რაიმე დირექტივები, საჭიროა მხოლოდ საქმისადმი დაინტერესებული მიდგომა. ეს უაქტუალურესი საკითხიც გახლავთ ჩვენი ეკონომიკური სამსახურებისათვის — სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის ფინანსთა სამინისტროსათვის, სახმომარაგებისათვის. საფუძვლიანად უნდა გავამკაცროთ მატერიალური მარაგის დაფინანსებისა და დაკრედიტების სისტემა. მაგრამ იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რატომ არაფერი არ ანაღვლებთ შრომით კოლექტივებს, რესურსების დაზოგვისათვის ბრძოლას განზე რომ უდგანან.

ქვეყნის მოწინავე კოლექტივებმა გაშალეს შეჯიბრება რათა წელს სულ ცოტა ორ დღეს იმუშაონ დაზოგილი მასალებით, ნედლეულით, სათბობითა და ელექტროენერგიით. ასეთი ვალდებულებანი თითქმის ყველგან იკისრეს მაგრამ ისინი ყველგან როდია განმტკიცებული სათანადო ეკონომიკური, ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობით. იმათ გვერდით, ვინც უკვე ერთ-ორ დღეს იმუშავა დაზოგილი რესურსებით ათობით და ასობით საწარმო და ორგანიზაცია, რომლებიც ნედლეულისა და მასალების ხარჯვის საგეგმო ნორმებსაც კი ვერ იცავენ.

რა თქმა უნდა, მომჭირნეობისათვის ჩვენს ბრძოლაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პერსპექტიული როლი უნდა შეასრულოს რესურსდამზოგავი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შემუშავებამ და დანერგვამ. ამ საქმეში გვარიანი მეცნიერულ-ტექნიკური მარაგნაკეთი გვაქვს. და მაინც მასობრივი მასშტაბით გამოიყენება დაუზოგველი ტექნოლოგიები.

ტექნიკური პოლიტიკა ციმბირში მეტად, ვიდრე სხვა რაიონებში, მიზნად უნდა ისახავდეს შრომის ყოველმხრივ დაზოგვას მისი გაზრდილი ელექტროაღჭურვილობისა და ყველაზე მოწინავე ტექნოლოგიის, საუკეთესო მანქანების გამოყენების მეოხებით.

კვლავაც უნდა უზრუნველვყოთ მეცნიერების უპირატესი განვითარება ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში. დღეს ჩვენ ყველანი ცხადად ვხედავთ, რაოდენ შორსმჭვრეტელური იყო წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებისა და შორეულ აღმოსავლეთის ცენტრის საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა და მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებათა შექმნის შესახებ. და ახლა ჩვენ ვხედავთ ციმბირის მეცნიერების განვითარების ნაყოფს. იგი ჩანს აქაც, ტიუმენის მიწა-წყალზეც, ბამზეც, სხვა რაიონებშიც.

ახლა აკადემიური, დარგობრივი და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერების განვითარებისათვის ძალისხმევის გაძლიერებასთან ერთად უნდა განვამტკიცოთ მისი მატერიალური, საწარმოო ბაზა, კიდევ უფრო მეტად წარვმართოთ ქვეყნის აღმოსავლეთი რაიონების საწარმოო ძალების გასავითარებლად.

ციმბირში, ისევე როგორც მთელ ქვეყანაში, ეკონომიკური განვითარების მძლავრი ბერკეტი გახდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. მაგრამ ბერკეტს, როგორც ცნობილია, საყრდენი წერტილი სჭირდება. და ასეთი საყრდენი წერტილია კაპიტალური მშენებლობა. იგი კი, სამწუხაროდ, ჯერჯერობით კვლავ სუსტი ადგილია.

ციმბირი მდიდარია ადგილობრივი საშენი მასალებით. მაგრამ მათი დამუშავება სათანადოდ არ არის ორგანიზებული. მთლიანად არ კმაყოფილდება რეგიონის მოთხოვნილება ასაწყობ რკინაბეტონზე, აგურზე, არამადნეულ მასალებზე; საკმარისად არ არის განვითარებული ასაწყობი სახლთმშენებლობა. კაპიტალური მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის გადიდების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების რეალიზაციისას გათვალისწინებული პროგრესული მასალების სულ ცოტა მესამედის წარმოება ქვეყნის აღმოსავლეთში უნდა მოგვარდეს.

2000 წლამდე დასახული მეურნეობის განვითარების გათვალისწინებით ციმბირში სამშენებლო პროგრამის მოცულობა ერთიორად და მეტად გაიზრდება. მისი შესრულების აუცილებელი პირობა, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური ბაზის ტექნიკური და ორგანიზაციულ-ეკონომიკური გარდაქმნაა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მშენებლობა ვაქციოთ ერთიან კონვეიერად, მასალებას; კონსტრუქციების, მსხვილი ბლოკმოდულების მზადებით დაწყებული და ექსპლოატაციისათვის მზა ობიექტებად მათი აწყობით დამთავრებული. ამ მიზანს უნდა დავუქვემდებაროთ მშენებლობის მართვის სისტემის სრულყოფაც.

ყოველივე, რაც ახლა ვთქვი, ეხება არა მარტო ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის წარმოების განვითარების საკითხებს, არამედ სოციალური სფეროს განვითარებასაც, რაც ადამიანის ცხოვრებას უკავშირდება.

ყველასთვის ცნობილია — და ეს ტიუმენის ათვისების ერთ-ერთი მთავარი გაკვეთილია — რომ ციმბირში განსაკუთრებული ცხოვრებისა და შრომის პირობებია. და ამის გათვალისწინებას ვცდილობთ ჩვენს სოციალურ პოლიტიკაში. ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში მიმდინარე ხუთწლედის მანძილზე ქვეყნის ევროპულ ნაწილთან შედარებით უფრო სწრაფი ტემპით შენდებოდა საცხოვრებელი სახლები, საავადმყოფოები და ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებანი, ვითარდება კომუნალური მეურნეობა, ვაჭრობა, [illegible] ან გადიდებული რაიონული კოეფიციენტები, დადგენილია მრავალი კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის მუშაობის უწყვეტი სტაჟის გამო ხელფასის პროცენტული დანამატები, განხორციელდა სხვა ღონისძიებანიც.

ყოველივე ამან გარკვეული ეფექტი მოგვცა. ბოლო ოთხ წელიწადში რუსეთის სფსრ აღმოსავლეთი რაიონების მოსახლეობა გაიზარდა ქვეყნის სხვა ადგილებიდან მუშებისა და სპეციალისტების გადმოსვლის გზით. მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ სხვა რამეც: ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილი წავიდა აქედან. მაშასადამე, ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში კვლავაც უნდა გავზარდოთ საბინაო მშენებლობა, გავაუმჯობესოთ სურსათით, ფართო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მომარაგება, განვავითაროთ მომსახურების სფერო, ჯანმრთელობის დაცვა და განათლება.

ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს ძალებსაც, საშუალებებსაც და დროსაც. მაგრამ ციმბირი მარტო სამშენებლო მოედანი, მარტო გრანდიოზული საწარმოო საამქრო არ უნდა გახდეს. ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ თუ ამ ვრცელ მხარეს ადამიანის ცხოვრებისათვის მოსახერხებელ ადგილად არ ვაქცევთ, მთელი ჩვენი გეგმები ქაღალდზე დარჩება მხოლოდ.

მინდა ვთქვა, რომ ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ახალი ობიექტების მშენებლობის ყოველი პროექტი ღრმად უნდა იყოს დასაბუთებული სოციალური თვალსაზრისით, ითვალისწინებდეს ადამიანთა შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

და კიდევ ერთი საკითხი, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ციმბირის გადაქცევას ისეთ მხარედ, სადაც ცხოვრება გულს უნდა უხარებდეს ადამიანს. მხედველობაში მაქვს ბუნებისადმი სათუთი დამოკიდებულების აუცილებლობა. ჩვენ ციმბირში უნდა ვიმოქმედოთ როგორც ნამდვილმა მომამაგეებმა, ვიზრუნოთ არა მარტო ამჟამინდელი სარგებლობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ ციმბირის მხარის სიმდიდრე და სილამაზე მომავალ თაობებს შემოვუნახოთ.

დასასრულ მ. ს. გორბაჩოვმა თქვა: თქვენთან ჩემი სტუმრობა ხანმოკლე, მაგრამ შინაარსიანი იყო. იმის ნახვა, თუ რა გიგანტური მუშაობა წარმოებს აქ, მეტად სასარგებლო და საინტერესო გამოდგა. ციმბირს მომავლის მხარეს უწოდებენ. ეს, რა თქმა უნდა, ასეა. მაგრამ უკვე დღეს ამრავლებს იგი ჩვენი სამშობლოს დიდებას, სიმდიდრესა და ძლიერებას.

ნება მიბოძეთ, გისურვოთ წარმატებები შრომაში, ჯანმრთელობა თქვენ და თქვენს ოჯახებს, ყოველივე საუკეთესო ცხოვრებაში! **(ხანგრძლივი ტაში).**

უხეში დარღვევებისათვის პასუხს აგებინებენ

(დასასრული)

ინსპექტორებად შეიძლება დაინიშნონ პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო სპეციალური განათლება, ან ზოგადი საშუალო განათლება, და გაიარეს ინდივიდუალური სწავლება დაახლოებით სამი თვის მანძილზე.

ყველა ეს მოთხოვნა უგულებელყვეს იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა, სადაც მუშაობდნენ მომავალი აბიტურიენტები, აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა. ბევრი აბიტურიენტი ამ თანამდებობებზე გაიგზავნა სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიების გადაწყვეტილებებით.

წელს 38 აბიტურიენტი, რომლებიც შედიოდნენ იურიდიულ ფაკულტეტზე წარმოებას მოუწყვეტლივ, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლას უთავსებდა მუშაობას ისეთ თანამდებობებზე, რომლებიც აძლევდა შესაძლებლობას შეღავათიანი პირობებით ჩარიცხულიყვნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მათგან 18 აბიტურიენტმა მოაგროვა გამსვლელი ქულა, მაგრამ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილის გადაწყვეტილებით მათი ჩარიცხვა შეჩერდა.

აღნიშნულ პირთა მამები ძირითადად არიან სამეურნეო ხელმძღვანელები, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოების, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები, თბილისის უნივერსიტეტის მასწავლებლები. ამ კატეგორიის აბიტურიენტთა შორის არ არიან მუშებისა და კოლმეურნეების შვილები. ბევრ შემთხვევაში შვილების შრომითი მოწყობისას შეინიშნება პროტექციონიზმის, მშობლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენების ფაქტები.

შეუწყნარებელ მოქმედებაში სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებაში, მორალურ-ეთიკური ნორმების უხეშ დარღვევებში გარეული აღმოჩნდა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკიც. მახარაძის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარის ამხ. ნ. ტ. ტაკიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე იურისკონსულტად მუშაობას მახარაძის საფუთავ ქარხანაში (სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების რაიონული გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. ნ. ლ. ჭელიძე).

ქალაქ რუსთავის პროკურორის ამხ. მ. ზ. ქურდაძის ქალიშვილი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების განყოფილების ინსპექტორად მუშაობას საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „სოფლმშენმონტაჟის“ № 25 ტრესტის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოში (უფროსი ამხ. ე. მ. ბუბუთეიშვილი).

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტკომის მდივნის ამხ. ე. პ. სამხარაძის ქალიშვილი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას გლდანის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოში (უფროსი ამხ. ჯ. ა. შენგელია).

გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილის ამხ. ნ. კ. ჯაველიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების განყოფილების ინსპექტორად მუშაობას „თბილისგვირაბმშენის“ რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანაში (ქარხნის დირექტორი ამხ. ს. ა. ბიწაძე).

უნდა აღინიშნოს, რომ 1983 წელს იურიდიულ ფაკულტეტზე ამავე გზით მოეწყო ამხ. ნ. კ. ჯაველიძის უფროსი ვაჟი, რომელიც სკოლაში სწავლის დროს მუშაობდა გეგეჭკორის რაიონული სამრეწველო კომბინატის კადრების განყოფილების ინსპექტორად.

ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. გ. ი. წიქარიძის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას „საქსოფლდამზადების“ ლაგოდეხის გაერთიანებაში (თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე ამხ. ნ. ნ. ჭაბაშვილი).

მცხეთის პურკომბინატის დირექტორის ამხ. გ. გ. ძიმისტარაშვილის ვაჟი საშუალო სკოლაში სწავლას უთავსებდა 0,5 საშტატო ერთეულზე კადრების ინსპექტორად მუშაობას „მაღლივმშენის“ № 10 ტრესტის კარკას-პანელიანი სახლთმშენებლობის ქარხანაში (დირექტორი ამხ. რ. ა. თუთაშვილი).

ყოველივე ეს მოწმობს მთელ რიგ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში უპრინციპობისა და უპასუხისმგებლობის, პროტექციონიზმის, სახელმწიფო დისციპლინის ნორმებისადმი აგდებული დამოკიდებულების ვითარებას, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მხრივ ხელმძღვანელებისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის შესუსტებას. ეს შედეგად მოჰყვა აგრეთვე ცალკეული მუშაკების მიერ მშობლის მოვალეობის მცდარად გაგებას, მისწრაფებას გამონახონ ადვილი გზები, ყოველი ღონე იხმარონ, უკანონო გზებსაც კი მიმართონ, ოღონდ „მოაწყონ“ შვილები ცხოვრებაში.

ამგვარი ფაქტები მუშათა, კოლმეურნეთა, სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენელთა სამართლიან საყვედურებს იწვევს, ცალკეულ ადამიანებში ბადებს ეჭვს, რომ ყველგან იცავენ თუ არა სოციალური სამართლიანობის პრინციპებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ მორალურ-ფსიქოლოგიური ატმოსფეროს შემდგომი გაჯანსაღებისათვის, დისციპლინის განმტკიცების, ოჯახის სიწმინდის, მშობელთა პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის ბრძოლის ვითარებაში უპასუხისმგებლობის, პროტექციონიზმის, მორალურ-ეთიკური ნორმების დარღვევის ფაქტები უთუოდ გაკიცხვას იმსახურებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგმო უმაღლეს სასწავლებლებში შესვლისას შეღავათების მიმცემი შრომითი სტაჟის მიღების მიზნით ქალიშვილებისა და ჭაბუკების ისეთ თანამდებობებზე შრომითი მოწყობის მცდარი და შეუწყნარებელი პრაქტიკა, რომლებთან დაკავშირებულ მოვალეობათა შესრულება მათ არ შეუძლიათ.

საქართველოს სსრ პროკურატურას, სახალხო კონტროლის კომიტეტს დაევალათ შეამოწმონ უტყუარობა დოკუმენტებისა, რომლებიც წარმოადგინეს აბიტურიენტებმა თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე შესვლისათვის, და შემოწმების მასალები რეაგირებისათვის გაუგზავნონ საქართველოს კომპარტიის შესაბამის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, რათა განიხილონ საკითხი, თუ რამდენად მიზანშეწონილია თბილისის უნივერსიტეტში იმ აბიტურიენტების ჩარიცხვა, რომლებმაც გამსვლელი ქულები მოაგროვეს.

პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ მკაცრად პარტიულ და სამსახურებრივ პასუხისგებაში მისცენ დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მშობლები, უხეში დარღვევები და პროტექციონიზმი რომ დაუშვეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების იმ მოსწავლეთა შრომითი მოწყობისას, რომლებმაც შემდეგ შრომითი სტაჟი გამოიყენეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეღავათიანი პირობებით ჩარიცხვისას.

პროტექციონიზმის ფაქტების დაშვებისათვის, შვილების აღზრდისადმი მცდარი, კომუნისტებისა და ხელმძღვანელებისათვის შეუფერებელი დამოკიდებულებისათვის სკკპ წევრები:

— მახარაძის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ნ. ტ. ტაკიძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული კომიტეტის მდივანი ე. პ. სამხარაძე, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორის მოადგილე ნ. კ. ჯაველიძე გაირიცხნენ სკკპ რიგებიდან და განთავისუფლდნენ თანამდებობიდან;

— ლაგოდეხის რაიონის სახალხო სასამართლო თავმჯდომარე გ. ი. წიქარიძე გაირიცხა სკკპ რიგებიდან. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს წინადადება მიეცა გადაწყვიტოს სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებისაგან მისი ვადამდე გაწვევის საკითხი.

პარტიის რუსთავის საქალაქო და მცხეთის რაიონულ კომიტეტებს წინადადება მიეცათ განიხილონ ქალაქ რუსთავის პროკურორის ამხ. მ. ზ. ქურდაძისა და მცხეთის პურკომბინატის დირექტორის ამხ. გ. გ. ძიმისტარაშვილის პარტიული და სამსახურებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

პარტიის თბილისის საქალაქო და მცხეთის რაიონულ კომიტეტებს დაევალათ განიხილონ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 25 ტრესტის საწარმოო-ტექნოლოგიური კომპლექტაციის სამმართველოს უფროსის ე. მ. ბუბუთეიშვილის, გლდანის რაიონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსის ჯ. ა. შენგელიას, „თბილისგვირაბმშენის“ რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორის ს. ა. ბიწაძის, „მაღლივმშენის“ № 10 ტრესტის კარკას-პანელიანი სახლთმშენებლობის ქარხნის დირექტორის რ. ა. თუთაშვილის, „საქსოფლდამზადების“ მახარაძის რაიონული გაერთიანების თავმჯდომარის ნ. ლ. ჭელიძის მკაცრ პარტიულ პასუხისგებაში მიცემისა და თანამდებობებზე ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი სახელმწიფო დისციპლინის უხეში დარღვევებისათვის, უპასუხისმგებლობისათვის და პროტექციით ცალკეულ პირთა შრომითი მოწყობისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრს ამხ. დ. ი. ჩხიკვიშვილს დაევალა გაზარდოს სამინისტროს აპარატის მუშაკთა პასუხისმგებლობა თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ყურადღება მიეპყრო იმას, რომ შეუწყნარებელია ფორმალური დამოკიდებულება აბიტურიენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვისა და უმაღლეს სასწავლებელში მათ ჩარიცხვასთან დაკავშირებული საკითხებისადმი. (საქინფორმი).

8 სექტემბერი — ტანკისტის დღე

გვარდიელის სიმაღლეები

კობა გელაშვილს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის იმ სასწავლო ქვეგანაყოფში მოუწია სამსახური, რომელიც ტანკების მეთაურებს ამზადებს. ხაშურელმა ახალგაზრდამ პირველი დღეებიდანვე მიიქცია მეთაურთა ყურადღება თავისი ცოდნისმოყვარეობით, მუყაითობით. „ამ ახალგაზრდისგან კარგი მეთაური დადგება“, — ამბობდნენ მასზე ოფიცრები.

მაგრამ, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ჯარის პირობებში, კობა მალე იმ ასეულში გადაიყვანეს, რომელიც საშუალო ტანკების მექანიკოს-მძღოლებს ამზადებს. აქაც გულიანად მოჰკიდა ხელი სწავლას. იგი გულისყურით ეუფლებოდა ყველაფერს, რასაც ასწავლიდნენ ასეულის მეთაური, მისი მოადგილე ტექნიკურ ნაწილში, და ფრიადოსანთა გამოცდილებასაც იზიარებდა. რამდენი დრო გაატარა მან ტანკის ტრენაჟერზე ვალერი ტერენტიევთან ერთად, რომელიც ტანკის ტარებას ასწავლიდა! და შრომაც ასწილად აუნაზღაურდა. გამოსაშვები გამოცდები კობამ ფრიადზე ჩააბარა.

— ყოჩაღ, გელაშვილო, — აღტაცებული ამბობდა ასეულის მეთაური. — ეს კაცი იმის ღირსია, რომ კურსანტების სწავლება მივანდოთ.

შარშან შემოდგომაზე პარტიის წევრობის კანდიდატი, უმცროსი სერჟანტი კობა გელაშვილი ათეულის მეთაურად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე მან ჩინებულად გამოიჩინა თავი, საიმედო თანაშემწე გახდა კურსანტთა სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

იგი თვითონაც სწავლობდა და ხვეწავდა უნარჩვევებს. თავის ცოდნას. ძალ-ღონისა და დროის დაუზოგავად მეცადინეობდა მათთან ერთად სასწავლო კლასებში, ტრენაჟერებზე, საველე პირობებში. და იმაში, რომ კურსდამთავრებულმა კურსანტებმა მაღალი შეფასება მიიღეს, რომ ოლქის ჯარებში კარგად მომზადებული მექანიკოს-მძღოლები გაიგზავნა, კობა გელაშვილის შრომის გარკვეული წვლილიც არის.

— გვინდა ოცეულის მეთაურის მოადგილედ დაგნიშნოთ, — უთხრა ერთხელ კობას ასეულის მეთაურმა. — საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნება?

— ვეცდები გავამართლო ნდობა, — ასე უპასუხა მან ოფიცერს.

რა თქმა უნდა, საზრუნავი მოემატა. და კობაც მისთვის დამახასიათებელი მუყაითობით შეუდგა ძნელი მოვალეობების შესრულებას, რომელთა ჩამოთვლასაც კი სამხედრო სამსახურის წესდებაში მთელი გვერდი უკავია.

აი, სულ ცოტა ხნის წინათ ასეულში ახალგაზრდა მეომრები მოვიდნენ. გვარდიის უფროსი სერჟანტი კობა გელაშვილი, რომელიც ამას წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს, გულითადად და გულთბილად შეხვდა მათ. საქმე აღარ გაუჭიანურებია და პირდაპირ შეიყვანა საქმის კურსში. გააცნო ასეულის ტრადიციები, შინაგანაწესი, ყველაფერი ის, რაც სასწავლო ათეულის კურსანტებს მოეთხოვებათ.

კობა გელაშვილმა იცის, რომ ხელქვეითებზე ყოველგვარ სიტყვებზე მეტად პირადი მაგალითი მოქმედებს. იგი ყოველთვის კოხტად არის გამოწყობილი, გაპარსულია და მხნედ გამოიყურება. მკერდს უმშვენებს ჯარისკაცური მამაცობის ოთხი სამკერდე ნიშანი. კროსის დისტანციაზე იქნება თუ სპორტულ დარბაზში, იგი ყოველთვის გამოირჩევა ხოლმე. თვალს ეამება, თუ როგორ ასრულებს ხოლმე ვარჯიშს სხვადასხვა იარაღზე, როგორ მოდის პირველი ფინიშთან და აღაფრთოვანებს ხოლმე ხელქვეითებს.

— ჩვენს ოფიცრებთან ერთად მთავარ ამოცანად მიმაჩნია მოკლე ვადაში მოვამზადოთ საქმის მცოდნე მექანიკოს-მძღოლები, — ამბობს კ. გელაშვილი. — ამიტომ ვცდილობ გონივრულად გამოვიყენო სასწავლო დროის ყოველი წუთი. მეცადინეობის დროს ვცდილობ გასაგებად ავუხსნა ყველაფერი კურსანტებს, გადავცე ის ცოდნა, რომელიც წელიწად-ნახევრის სამსახურის მანძილზე შევიძინე. ჰოდა, მიხარია, რომ ა. მარკინი ა. ანტიკოვი, ვ. შჩელკუნოვი და მრავალნი სხვანი კარგად ეუფლებიან თავიანთ სპეციალობას..

— ასეულის ზემდეგი, გვარდიის პრაპორჩიკი ტუაევი სწავლასთან დაკავშირებით ხანგრძლივ შვებულებაში მიდის, — უთხრა ასეულის მეთაურმა — თქვენ, ამხანაგო გელაშვილო, მისი მოვალეობანიც უნდა შეასრულოთ.

— არის! — უპასუხა კობამ.

ჰოდა ზემდეგის ძნელ მოვალეობას ზუსტად ისე ასრულებდა, როგორც ამას წესდება მოითხოვს. სწორედ მაშინ ნაწილში ოლქის კომისია მოვიდა. ასეულის შემმოწმებელმა ოფიცერმა აღნიშნა სანიმუშო წესრიგი და სასწავლო პროცესის კარგი ორგანიზაცია, შექო გვარდიის უფროსი სერჟანტი კ. გელაშვილი. მან ჩინებულად გაართვა თავი ოცეულის მეთაურის მოვალეობებს, რომლის მაგივრობასაც დროებით იწეოდა.

ერთხელ, როგორღაც პოლკის ორგანოს ერთ-ერთ ღონისძიებაზე დასწრებისას, კობამ შეიტყო და ნახა, რომ სოციალისტური შეჯიბრების მოწინავეებს, გარდამავალ ვიმპელებს გადასცემენ. თავის ქვეგანაყოფში დაბრუნების შემდეგ ასეულის მეთაურის მოადგილეს პოლიტნაწილში, უფროს ლეიტენანტს პ. ოკროიანს შესთავაზა, ჩვენც ასე მოვიქცეთო. ეს სიახლეც დაინერგა. ახლა კურსანტები, ათეულები და ოცეულები ერთმანეთს ეჯიბრებიან სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად და აქტიურად იბრძვიან იმისათვის, რომ საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიონ სწავლასა და სამსახურში, გარდამავალი ვიმპელები დაიმსახურონ.

— გვარდიის უფროსი სერჟანტი კობა გელაშვილი ჩემთვის საიმედო დასაყრდენია, — ამბობს ასეულის მეთაური, გვარდიის კაპიტანი ნ. ბეიცკიხი. — იგი არა მარტო კარგი უმცროსი მეთაური და აღმზრდელია, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც.

დ. ყუჯი,

გადამდგარი პოლკოვნიკი, საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი.

სურათებზე: ზემოთ — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარჩინებული მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი არჩილ ძამაშვილი სტუმრად ტანკისტებთან; პრაქტიკულ მეცადინეობაზე.

საკდესისა და საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ვმართოთ მომჭირნეობა

თადარიგი გვჭირდება

ხუთწლედის დამდეგიდან რესპუბლიკაში ათვისებულია წარმოების ნარჩენი მასალებისა და ადგილობრივი ნედლეულისაგან 600 სახეობაზე მეტი მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვება. ამ ხნის მანძილზე მისი წარმოება ოთხჯერ და მეტად გაიზარდა. როგორია მეორეული და ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების შემდგომი პერსპექტივები? ამ კითხვაზე საქინფორმის კორესპონდენტის ა. კოკაიას თხოვნით პასუხს იძლევა საქართველოს სსრ სახმომარაგების თავმჯდომარე ო. ქვილითაია:

— კარგად არის ცნობილი, რომ მატერიალური და ნედლეული რესურსების რაციონალური გამოყენება წარმოების ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთი რეალური გზაა. მომჭირნეობის რეზერვები ყველგან, სახალხო მეურნეობის ყველა დარგშია. მთავარია გამოვავლინოთ და უმეტესი უკუგებით გამოვიყენოთ. უამისოდ რაიმე რაციონალურ მეურნეობრიობაზე, ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

... ლეული და საქმეში მოუქცეველი ნედლეული რესურსები, დეტალურად შევისწავლეთ მათი ხასიათი, მოცულობა, კონცენტრაციის ადგილები და ახლომდებარე საწარმოების წარმოებაში მათი მოქცევის შესაძლებლობანი. მაგალითად, რუსთავის სამშენ მასალათა კომბინატში წარმოიქმნება ამობურცული პერლიტის წარმოების ნარჩენები. აღმოჩნდა, რომ ისინი გამოსადეგია ფასადის კერამიკული ფილების დამზადებისათვის. ახლა დაწყებულია მათი გამოცდის სამუშაოები.

მასობრივი მოთხოვნის საქონლის დამზადების დიდი შესაძლებლობებია ხის დამმუშავებელ მრეწველობაში. არც ისე დიდი ხნის წინათ ნარჩენი ხე-ტყის დაახლოებით 40 პროცენტი იწვებოდა. თურმე, მისგან შეიძლება პარკეტის, სამზარეულო ნივთების, მრავალი სხვა საჭირო საგნის დამზადება. სამტრედიისა და რუსთავის ხის დამმუშავებელ კომბინატებში ნარჩენების ჯერჯერობით ნაწილობრივი გამოყენების საფუძველზე მოგვარებულმა საშუალება მოგვცა გამოგვეშვა მრავალი საჭირო საქონელი, რომელიც წინათ ქვეყნის სხვა რეგიონებიდან შემოგვქონდა, ეს არის მებაღეობა-მებოსტნეობის ინვენტარი, ტყაპუჭის ნაწარმი, საწმენდი საშუალებანი და ა. შ.

ნარჩენი ნედლეულისაგან მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების დიდი შესაძლებლობებია მძიმე ინდუსტრიის ბევრ საწარმოში. ეგრეთ წოდებულ არაპროფილურ პროდუქციას დღეს უშვებს თითქმის ყველა საწარმო. მაგრამ აქ, დარწმუნებული ვარ, დიფერენცირებული მიდგომაა საჭირო. როგორც ჩანს, აზრი არა აქვს მძიმე ინდუსტრიის ყველა საწარმოს დავავალოთ სამომხმარებლო საქონლის გამოშვება. ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნება, ზოგიერთი მათგანი — კონკრეტული საწარმოო თუ ორგანიზაციული სიტუაციის მიხედვით — უზრუნველყოფდეს სხვა ქარხნებს ნარჩენი ნედლეულით, რა თქმა უნდა, შესაბამისად ამზადებდეს მას და უგზავნიდეს პარტნიორებს. ამასთან ამ საწარმოებს ასეთი წვლილი უნდა ჩაეთვალოთ მასობრივი მოთხოვნის საქონლის გამოშვებაში მონაწილეობად, თორემ დღეს შეინიშნება ფაქტები, როცა ზოგიერთ საწარმოში მეორეული ნედლეულისაგან, რაც მოესურვებათ, იმას ამზადებენ, ოღონდ ანგარიში ჩააბა...

... მასალებისა და სამეურნეო მეგობ... მითი დაზოგვის დამატებითი ღონისძიებანი და ვალდებულება იკისრეს მათი გამოყენებით სულ ცოტა ორ დღეს იმუშაონ მიმდინარე წელს. მაგრამ ამით მომჭირნეობის რეზერვები, რა თქმა უნდა, არ ამოიწურება.

ვიდრე გადავწყვეტდით, როგორ გამოგვეყენებინა უკეთ მეორეული და ადგილობრივი ნედ...

უნარჩენო წარმოება დროის მოთხოვნაა

ამ წერილში საუბარია ქალაქ ტყიბულის ზონაში დამხმარე საწარმოებისა და სარეწების განვითარების მიღწეულ დონეზე; რეზერვებზე, რომელთა ამოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდიდა ამ რეგიონის შემოსავალს, ხელს შეუწყობდა მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ავტორს მიაჩნია, რომ გამოუყენებელი რეზერვების ათვისებაში სამეურნეობათაშორისო საწარმოებს დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტმა.

სსრ კავშირის 1990 წლამდე პერიოდის სასურსათო პროგრამაში აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილია, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მთელი წლის მანძილზე დასასაქმებლად განვითარდეს დამხმარე საწარმოები და სარეწები.

ეს ხელს უწყობს სოფლებიდან ...

ზრდის უშრეტი წყარო

„კომუნისტი"

ეძიებს

რეზერვებს

კადრების დენადობის, ახალგაზრდობის მიგრაციის შეჩერებას, ჭარბი მუშახელის ადგილებზე შენარჩუნებას და მეურნეობათა ეკონომიკის მნიშვნელოვან განვითარებას.

ამ მხრივ გარკვეული გამოცდილება შეიძინეს ქ. ტყიბულის ზონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. ზონაში ორი წელია, რაც ამოქმედდა რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების დამხმარე საწარმოებისა და სარეწების სამეურნეობათაშორისო საწარმო. აღნიშნულ პერიოდში საწარმომ გამოუშვა 2791 ათასი მანეთის პროდუქცია და მისი რეალიზაციით 771,6 ათასი მანეთის წმინდა შემოსავალი მიიღო. ...

ო. მარაქიძე

უცხოეთში

ფაქტები
მოვლენები

7 სექტემბერი ● საკდესი იუწყება

სამშვიდობო ინიციატივები მშვიდობის გზაა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოხსენება

ნიუ-იორკი. გამალებული შეიარაღების ალაგმვისათვის გამიზნული საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სამშვიდობო ინიციატივები და რეალური განიარაღების მიღწევის საქმეში პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელება მთავარ როლს ასრულებენ საერთაშორისო კლიმატის გაჯანსაღებისა და ბირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის ერთა გაერთიანების მეცადინეობაში. ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის პერეს დე კუელიარის მოხსენებიდან „ბირთვული ომის თავიდან აცილება", რომელიც აქ გამოიცა. ამ დოკუმენტში, რომელიც საერთაშორისო გაერთიანების შტაბ-ბინაში გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-40 სესიის წინ, შეჯამებულია ამ პრობლემაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ქვეყნების პასუხები.

მოხსენებაში აღნიშნულია სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისმოყვარული პოზიცია, რომელთა მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა ხმარდება ბირთვული ომის წარმოქმნის თავიდან აცილებას, რეაქციისა და მილიტარიზმის ძალების შეკავებას. სსრ კავშირი დარწმუნებულია, ნათქვამია მოხსენებაში, რომ ყველა შესაძლებლობაა ბირთვულ უფსკრულში კაცობრიობის გადაჩეხვის თავიდან აცილებისათვის. ამ მიზნით, როგორც საბჭოთა კავშირს მიაჩნია, საჭიროა უწინარეს ყოვლისა თავიდან ავიცილოთ კოსმოსის მილიტარიზაცია, შევაჩეროთ გამალებული შეიარაღება, ბირთვულ სახელმწიფოთა პოლიტიკა შევუსაბამოთ ბირთვულ-კოსმოსური საუკუნის რეალობებს. სსრ კავშირი ყოველ ღონეს ხმარობს, რათა მიაღწიოს ბირთვული საშიშროების შემცირებისაკენ, საბოლოო ანგარიშით კი ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციისაკენ მტკიცე შემობრუნებას, აღნიშნავს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

ამ მშვიდობისმოყვარული კურსის მკაფიო დადასტურება იყო სსრ კავშირის ინიციატივა, რომლის მეოხებითაც შესაძლებელი გახდა შეერთებულ შტატებთან იმის შეთანხმება, რომ დაიწყოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი მოლაპარაკება ბირთვული და კოსმოსური შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. საბჭოთა კავშირი, ნათქვამია მოხსენებაში, მხარს უჭერს ამ მოლაპარაკების წარმატებას. მაგრამ ეს შესაძლებელი იქნება, თუ ორივე მხარე იხელმძღვანელებს თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპით და მკაცრად დაიცავს მოლაპარაკების საგნისა და მიზნის შესახებ მიღწეულ მორიგებას ყველა მის ნაწილში, რაც დიდმნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ბირთვული ომის თავიდან აცილების საქმეში.

სსრ კავშირი მხარს უჭერს პროგრესს ყველა სხვა მიმართულებითაც, რომელთა მიზანია ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთა, ნათქვამია დოკუმენტში. იგი თანამიმდევრულად ესწრაფვის კონფლიქტური და კრიზისული სიტუაციების ლიკვიდაციას, კოლონიური და რასისტული ჩაგვრის ნაშთების აღმოფხვრას. საბჭოთა კავშირის რწმენით, სახელმწიფოთა ინტელექტუალური და მატერიალური რესურსები ომისათვის მზადებას კი არა, კაცობრიობის წინაშე მდგომი გლობალური პრობლემების გადაჭრას, შიმშილისა და ავადმყოფობის აღმოფხვრას, ენერგიის ახალი წყაროების განვითარებასა და გარემოს შენარჩუნებას, ატომის, კოსმოსის სიმაღლეების, მსოფლიო ოკეანის სიღრმეების მშვიდობიან ათვისებას უნდა ხმარდებოდეს, ხაზს უსვამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი.

● აშშ

არაგულწრფელი მონანიება

ვაშინგტონი. პრეზიდენტი რეიგანი იძულებული გახდა საჯაროდ მოეხადა ბოდიში თავისი მტკიცებისათვის, თითქოს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში „ბოლო მოეღოთ რასობრივი სეგრეგაციისათვის".

როგორც ცნობილია, თეთრი სახლის მეთაურმა ასეთი „აღმოჩენა" მოახდინა თავის ერთ-ერთ ამასწინანდელ რადიოინტერვიუში. მან სცადა დაესაბუთებინა თავისი თეზისი, ვითომდა „კონსტრუქციული თანამშრომლობის" პოლიტიკა, მისი ადმინისტრაცია რომ ახორციელებს პრეტორიის მიმართ, „თავისას შვრება" და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში საქმე „უმჯობესდება". რეიგანის გამონათქვამებმა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მთელ მსოფლიოში ისეთი დიდი პროტესტები გამოიწვია, რომ ლამის მეორე დღესვე პრეზიდენტის წარმომადგენელი იძულებული გახდა, არსებითად, მოეხდინა ადმინისტრაციის მეთაურის განცხადების დეზავუირება.

დღეს კი უკვე თავად პრეზიდენტი იმართლებდა თავს. თეთრ სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე მას დააყარეს ჯესლიანი კითხვები და იგი ცდილობდა ჟურნალისტები დაერწმუნებინა, რომ რადიოინტერვიუში „სულ სხვა რამის" თქმა უნდოდა, სწორად ვერ შეარჩია სიტყვები და ამით რადიომსმენელებს „მცდარი წარმოდგენა" შეუქმნა. „ვწუხვარ ამის გამო", თქვა რეიგანმა.

ამავე დროს, აღიარა რა პრესკონფერენციაზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში რასობრივი სეგრეგაციის „ფართო გავრცელება", პრეზიდენტმა გამორიცხა რაიმე ცვლილებები „კონსტრუქციული თანამშრომლობის" პოლიტიკაში, რომელიც აპარტეიდის რეჟიმის დანაშაულობაში მონაწილეობის ტოლფასია.

ფოტოფაქტი

● სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა

ხუთასი ხკოლის მოსწავლე დააპატიმრ... მელიც სოუეტოში — ქვეყნის უდიდეს აფრ... რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლ... ციამ. ისინი იმისათვის დააპატიმრეს, რომ... მეცადინეობას, მოითხოვდნენ საგანგებო ...

მაგრამ, ხელისუფალთა რეპრესიების ... აფრიკელი ახალგაზრდობის გამოსვლები ...

სურათზე: ეს სამხრეთაფრიკელი ჯ... მზად არის ცეცხლი დაუშინოს დაპატიმრ... სავებისა და ახლობლების უიარაღო ჯგუ...

ა.-საკდესის ფოტო.

● ავღანეთი

პოლიტბიუროს სხდომა

ქაბული. აქ გაიმართა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომა. მოხსენება მოსაზღვრე ტომების უმაღლესი ჯირგის მომავალი მოწვევის შესახებ გააკეთა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ბ. ქარმალმა.

სხდომაზე განიხილეს პროფკავშირთა მუშაობა. აღინიშნა, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ერთიორად გაიზარდა პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციების რიცხვი, დღენიადაგ ფართოვდება ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის პროფკავშირთა საერთაშორისო ურთიერთობა. ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მაღალი შეფასება მისცა მათ მუშაობას, რომელსაც ეწევიან იმისათვის, რომ მშრომელები შეაკავშირონ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის გარშემო და მასები დარაზმონ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესასრულებლად. სხდომაზე მიღებულია გადაწყვეტილება ავღანეთში პიონერული მოძრაობის შემდგომი განვითარების შესახებ.

8 სექტემბერი ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღეა

დონ როხასი: მათი იარაღი კალამია

ცოცხალთვალებიან, თმაში ჭაღარაშერეულ ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს დიდი ცხოვრება აქვს განვლილი. დონ როხასი გრენადაში დაიბადა, შემდეგ მშობლებთან ერთად შეერთებულ შტატებში გადავიდა, დაამთავრა ვისკონსინის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. რამდენიმე წელიწადს სკოლაში მასწავლებლობდა. დონს უყვარდა თავისი სამუშაო, უყვარდა ისტორია, თავისი მოწაფეები. იცოდა, რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ობიექტური წარმოდგენა შეექმნა მათთვის ისტორიულ მოვლენებზე.

და მაინც ახალგაზრდა მასწავლებელს გული სხვაგან ედო. დონის მამამ, რადიოჟურნალისტმა, შვილი თავისი პროფესიისადმი სიყვარულით აღანთო. რამდენიმე წლის შემდეგ მამა-შვილმა როხასებმა საკუთარი გაზეთი დააარსეს — „კარიბიენ დეილი ნიუსი". თავდაუზოგავად შრომობდა ორი ჟურნალისტი: ცდილობდნენ პრინციპული შეფასება მიეცათ კარიბის აუზისა და ცენტრალური ამერიკის ქვეყნების ცხოვრებისათვის, ასახავდნენ ამ რეგიონიდან გამოსულ ადამიანთა ...

როგორ გაიხარეს მათ ამ შეხვედრით! გაიხსენეს სკოლა, თავიანთი კლასი, სადაც ერთ მერხზე ისხდნენ, მეგობრები, მაშინ ბიშოპმა ჰკითხა: „დონ, ხომ არ დადგა დრო, რომ სამშობლოში დაბრუნდე? რევოლუციას სწორედ ისეთები სჭირდება, როგორიც შენ ხარ. შენი კალამი იქ საჭიროა" და დონ როხასმა მაშინვე გრენადას მიაშურა.

დიდი ენთუზიაზმით მოჰკიდა ხელი საქმეს. მას კარგად ესმოდა, რომ ხალხს სჭირდებოდა მისი სტატიები. მალე იგი ქვეყნის წამყვანი ბეჭდვითი ორგანოს გაზეთ „ფრი უესტ ინდიანის" მთავარი რედაქტორი გახდა, მოგვიანებით — ბიშოპის პრეს-მდივანი, მისი ერთგული თანაშემწე. იგი მის გვერდით იყო იმ საშინელ დღემდე, როცა ერთი ციცქნა გრენადა ამერიკულმა ჩექმამ გადათელა. ეს იყო 1983 წლის ოქტომბერში...

მან მოახერხა მალულად ქვეყნიდან გამომგზავრება. ცნობილი ჟურნალისტი დონ როხასი ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მდივნად აირჩიეს.

ამას წინათ იგი მოსკოვს ეწვია, როგორც ახალგაზრდობისა და სტუდენტთა XII მსოფლიო ფესტივალის საპატიო სტუმარი. იგი აქტიურად მონაწილეობდა მრავალრიცხოვან შეხვედრებში, პოლიტიკურ დისკუსიებში.

ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა: მართალი ინფორმაცია დღეს ეროვნული ღირსებისა და სუვერენიტეტისათვის ხალხთა საერთო ბრძოლის ნაწილია. ამ ბრძოლაში ფასდაუდებელია პროგრესული ჟურნალისტების როლი. მათი კალამი მათი იარაღია. სწორედ ისინი ეხმარებიან ადამიანებს ჩასწვდნენ ჭეშმარიტებას.

ჩემზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის განცხადებამ, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს საბჭოთა კავშირის თანამიმდევრულ მშვიდობისმოყვარულ პოზიციას. იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ბირთვული არსენალების ზრდაში სახიფათო შეჯიბრების შეწყვეტას, საბჭოთა კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება ცალმხრივი წესით შეწყვიტოს ყოველგვარი ბირთვული აფეთქებები.

მსოფლიოს პროგრესული ჟურნალისტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების კეთილშობილური მოვალეობაა ფართოდ განუმარტონ ხალხთა მასებს ამ აქციის საკაცობრიო მნიშვნელობა ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

დავიცვათ ჰელსინკის სულისკვეთება

მოწოდება მსოფლიოს პროგრესული ჟურნალისტებისადმი

პრაღა. ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციამ გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 8 სექტემბერს აღინიშნება ჟურნალისტთა სოლიდარობის საერთაშორისო დღე.

დოკუმენტი შეიცავს მოწოდებას მსოფლიოს ყველა პროგრესული ჟურნალისტისადმი მთელი ძალ-ღონე, ნიჭი და პროფესიული ოსტატობა მოახმარონ იმპერიალისტური რეაქციის ძალების ხრი...

ცილისწამების კამპანია

ვაშინგტონი. ...

მორიგი მტრული აქცია ნიკარაგუის წინააღმდეგ

● ინგლისი

ტრედუნიონთა კონგრესის ყრილობა

ბლეკპული. აქ დამთავრდა ქვეყნის ... გაერთიანების — ბრიტანეთის ტრედუ... 117-ე ყოველწლიური ყრილობა. ტრედ... ნებს თითქმის 10 მილიონ კაცს. ... ტრედუნიონთა კონგრესი აერთია...

წინა დღით დელეგატებმა მოიწონეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი რეზოლუციები, რომლებიც მოწმობენ მათს ღრმა შეშფო... ლობის დაცვისა და განათლების ეროვნულ სისტემაში შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას.

ბრიტანეთის ტრედუნიონთა კონგრესის ყრილობაზე გაიმართა ხელმძღვანელი ორგანოს — გენერალური საბჭოს არჩევნები. მის პრეზიდენტად მომავალი წლისათვის არჩეულია მუშათა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე კ. გილი.

შემთხვევა

დისპეტჩერთა მიზეზით

ვაშინგტონი. დალას-ფორტ-უერტის აეროპორტის დისპეტჩერთა გაუფრთხილებლობა იყო ლ-1011 თვითმფრინავის კატასტროფის ერთ-ერთი მიზეზი, რომლის შედეგად 135 კაცი დაიღუპა. ეს ნათქვამია დოკუმენტებში, რომლებიც დალასის სასამართლოში წარადგინა „დელტა ეირლაინზის" ავიაკომპანიამ. კატასტროფა გამოიწვია „ერთ-ერთი ან რამდენიმე ავიადისპეტჩერის გულგრილობამ", აღნიშნულია დოკუმენტებში, როგორც კატასტრო...

იშვიათი ნაკოფი

საკვირაო საკითხავი

შალვა დადიანი თვალადი, ტანადი, სულით არისტოკრატი, ტკბილმოუბარი, ქართული მწერლობის მშვენება და ლაზათი, რომლის ფიქრი იყო საქართველოს დიდი ისტორია, მისი მაღალი კულტურა, — ასეთი იყო იგი ცხოვრების სცენაზე. ახლა ვნახოთ ფარდის იქით.

ბატონ შალვასთან ურთიერთობა და მახლობლობა საოცრად გვამაღლებდა და გვამდიდრებდა სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების ეროვნული ტრადიციებით. მასთან ყოფნა ეს იყო ფიზიკური შეგრძნობა და ზიარება დიდი ილიას ზნეობრივ სამყაროსთან. მასთან სიახლოვით უფრო იძაბებოდა ის ეროვნული ძარღვი, რომელიც ჩვენს მუხლზე უკვდავ ფენომენად აღზევდა ილიას უმწიკვლო სამსახურმა მამულისადმი. ამავე დროს შალვას მოუსვენარი სული და ცხოვრება სათავეს ილიასაგან განუყოფელი მეორე ეროვნული სულიდან — აკაკიდან იღებდა.

შალვა დადიანი ძლიერი პიროვნება იყო. მხოლოდ ძლიერ პიროვნებას შეეძლო მუხლჩაუხრელი ცხოვრებით ეცხოვრა ერთდროულად თეატრსა და მწერლობაში ასე შთაგონებით და რუდუნებით. რევოლუციამდელ საქართველოში ეს ორი კერა იყო, რომელმაც შეკრა და შეაკავშირა ორ გუბერნიად ცარიზმის მიერ გათიშული საქართველო: შალვა დადიანის ქართული „მოგზაური თეატრი" ცოტნე დადიანის შეთქმული საქართველოს როლს ასრულებდა ქართული ენისა და ქართული ეროვნული სულის გადასარჩენად. ეს თეატრი იქ გაჩნდებოდა, სადაც ქართულ ენასა და ეროვნულ მეობას საფრთხე ემუქრებოდა. არაფერს უშინდებოდა იგი ამ გზაზე, არც ცარიზმის აგენტების დევნას, არც უფულობას და აქედან წარმომდგარ ბოჰემურ მოგზაურობას და ცხოვრებას. მაღალი, ეროვნული რწმენით ანთებული გულით, ფანატიკური ქიხით ემსახურებოდა იგი ქართულ თეატრს.

ბატონი შალვა 1931 წელს გავიცანი გამოჩენილი თეატრალური მოღვაწის, პროფესორ აკაკი ფალავას ოჯახში. აკაკი ფალავა ჩემი სოფლიდან იყო წამოსული. მე უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ვიყავი. და აი, იმ დღის მინ ვეწვიეთ ბატონ აკაკი ფალავას თანასოფლელები. მას პატარა წვეულება ჰქონდა. სუფრას თამადობდა ბატონი შალვა. აი აქ გავიცანი, ჩემთვის მწერლობით უკვე ცნობილი და საყვარელი „უბედური რუსის" ავტორი (სწორედ იმ წელს მარჯანიშვილის თეატრში დიდი ტრიუმფით მიდიოდა შალვას პიესა „კაკალ გულში"). ბატონი შალვა ამ პატარა სუფრას საოცარი სილაღით უძღვებოდა.

ერთ მომენტში მან თქვა: — მე მთელი ჩემი ცხოვრებით, სულით და ხორცით დაკავშირებული ვიყავი ქართულ თეატრთან და მწერლობასთან. მე თუ ამჟამად რამე წარმოვადგენ ეს იმდენად ჩემი „ბრალი" არ არის, რამდენადაც ჩემი წინაპრებისა. მე თითქოს მემართა, ვალდებული ვიყავი, თუ რჩეულთაგანი არა, აუცილებლად სასარგებლო კაცი ვყოფილიყავი. თეატრმა, არტისტობამ კი ბევრი რამ შემძინა. მე შემოვლილი მაქვს არტისტული მოგზაურობით საქართველოს ყველა კუთხე და ამის მოწმეა ბაქოს ბალახანის მუშათა თეატრის კედლები, ნოვოროსიის გადამზიდველ და მტვირთავთა მაშინდელი არტელი, ბათუმელი მუშები, სოხუმის მაშინდელი მოწინავე ნოქრები, ჭიათურის მაღაროელები და ჩვენი გლეხობა. ჩემი აუდიტორია მუდამ ყამს მართალი ხალხი იყო.

ბატონი შალვა იყო კეთილი გულისა და ნაზი სულის პატრონი, მუდამ თანაზიარი ადამიანებისადმი. ამპარტავნობა უცხო იყო მისთვის, თუმცა კარგად იცოდა თავისი ფასი და ღირსება. შინაგანი სიამაყე მუდამ თან ახლდა მის მოქმედებას. აღნაგობა, ჩაცმულობა გასაოცარ მომხიბვლელობასა და მიმზიდველობას ანიჭებდა. ჩოხა-ახალუხი ეცვა, მოსირმული წუღა-მესტით, თუ ტყავის ტანისამოსი, ქურთუკი, შარვალი, ქუდი; ფეხსაცმელი სულ ტყავისა. — თანაბარი სიკოხტავით ჰქონდა მორგებული მის სხეულს. სადაც არ უნდა მოხვედრილიყო, იგი უმალ ყურადღებას იპყრობდა. მეცხრამეტე საუკუნიდან მოსული კაცი იყო შალვა დადიანი და მას თან ჰქონდა გასული საუკუნის დიდი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეთა მადლი გამოყოლილი, ოჯახიდანვე დანათლული; სიდინჯე, სისპეტაკე, დარბაისლობა, კაცთმოყვარეობა, ერთგულება, თავდადება და მამულიშვილობა...

1954 წელს ბატონ შალვას დაბადების 80 წელი უსრულდებოდა.

წიგნად აკინძული მოგონებანი

ხალხის სიყვარულით გარემოსილი

სუნთქვა გარდასულ დღეთა

საქართველოს მწერალთა კავშირმა დაადგინა ეს თარიღი აღნიშნულიყო დიდი საიუბილეო საღამოთი. გადაწყდა შალვა დადიანის საიუბილეო საღამო გამართულიყო 25 ოქტომბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში. მომხსენებლად მე დამამტკიცეს. ამასთან დაკავშირებით იუბილარს შინ ვესტუმრე, რომ მასთან ერთად დამეზუსტებინა ზოგი რამ, როგორც მომხსენებელსა და როგორც მწერალთა კავშირის მდივანს. 1954 წლის ივნისის ბოლოს გაიმართა საქართველოს მწერალთა მეოთხე ყრილობა. ამ ყრილობაზე ბატონი შალვა საკავშირო მწერალთა მეორე ყრილობის დელეგატად და საქართველოს მწერალთა პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს. საკავშირო ყრილობა დანიშნული იყო წლის ბოლოსათვის, საქართველოს ყრილობისა და საკავშირო ყრილობის შუა — 25 სექტემბერს იუბილე. დიდად ესიამოვნა ქართული მწერლობის პატრიარქს ეს დაფასება და დიდი ხალისითაც მიმიწვია შინ. ეს დიალოგიც მაშინ შედგა: — მე ბედნიერ მოხუცებულობას შევესწარი. 80 წელი! ეს ცოტა როდია, ხალხი ჩემს მცირე ამაგს არ მიკარგავს, აი ეს 80 წლის იუბილეც ამის დასტურია. მე ვიცი, თქვენ როგორც მომხსენებელი შემაქებთ, როგორც ეს მიღებულია საიუბილეო საღამოებზე, ჩემი თხოვნაა ხაზი გაუსვათ მამაჩემის დამსახურებას, ეს იუბილე უპირველესად ყოვლისა მამაჩემის დამსახურებაა.

უნივერსალური განათლება ჰქონდა მამას, ზედმიწევნით იცოდა საქართველოს წარსული, განსაკუთრებით ფლობდა ქართული ენის სიმდიდრესა და საიდუმლოებას, მწიგნობარი, პოეტი, ლინგვისტი; ისტორიკოსი, მთარგმნელი, ლექსიკოლოგი, წარმოიდგინეთ ექიმიც, შინგაზრდილი და თვითნასწავლი ექიმი, იმდენად მცოდნე და შეუმცდარი დიაგნოსტიკაში, რომ მთელს დასავლეთ საქართველოსა და ქუთაისში განთქმული ექიმი სამსონ თოფურია მამასთან აგზავნიდა პაციენტებს. როცა გადაწყდა გამოცემულიყო „ვეფხისტყაოსანი" ახალი რედაქციით მამა ამ ახალი რედაქციის დამდგენ კომისიაში შეიყვანეს დიდ ილიასთან, აკაკისთან, გრიგოლ ორბელიანთან ერთად. არა, მამა დიდი კაცი იყო და თუ არა მამაჩემი და მისი უკიდეგანო გავლენა, მე შეიძლება ძველებური დარდიმანდი თავადიშვილი გამოვსულიყავი. ამისთვის მიწყობდა ხელს ღონიერი მემკვიდრეობა დედულეთისა და მამულეთის მხრით, მაგრამ მე და ჩემს უფროს დას მამის მაგის შთაგონებით მებატონის ცხოვრება კი არა, მწერლობა და თეატრი გვიტაცებდა. მამულეთშიაც და დედულეთშიაც სულ წიგნებზე და ძველ ისტორიაზე გვესმოდა საუბარი — ამ დროს ჩემზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, რომელთა კულტი იყო გამეფებული ჩვენს ოჯახში. ეს იყო ჩემი რომანტიკა. სამეგრელო მთიანეთში — ბერთემში და ზემო იმერეთშიც, სადაც წმინდად იყო დაცული ძველი ქართული მაღალი ზნეობა და წეს-ჩვეულება, გლეხის შვილებთან ერთად ვიზრდებოდი და ვეცნობოდი მშრომელი კაცის ძნელ, მაგრამ მიწაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანების ცხოვრებას და ფსიქოლოგიას. გლეხის ბავშვებს შევეჩვიე და შევეზარდე, ბავშვობიდანვე ცხოვლად დააჩნდა ჩემს სულს ქვეყნის მარჩენალი მშრომელი კაცის ჯანსაღი სიყვარული.

როგორც არტისტი და როგორც მწერალი პირნათლად გამოვყევი რევოლუციურ საქართველოს გზას. პირველი ნათლობა 1905 წლის რევოლუციაში მივიღე, რევოლუცია ბობოქრობდა, როცა რუსეთს მივაშურე და უნივერსიტეტში შესვლა განვიზრახე, მაგრამ რეაქციამ მომასწრო და მეც გადავწყვიტე ევროპაში გამგზავრება — ოდესაში გემიდან ჩამომსვეს და იძულებული გავხდი ისევ სამშობლოში დავბრუნებულიყავი. 1907 წელს ოდესაში დავწერე პიესა „როს ნადიმობდენ", რომელშიაც რევოლუციის ქარიშხალს ვუმღერე და ვიწამე. განვიზრახე ხალხში განმტკიცებინა რწმენა რევოლუციის გამარჯვებისა და ამავე მიზნით 1912 წელს „მოგზაურთა დასი", დავაარსე. ამ დასით ხან ფეხით, ხან ეტლით, ხან მატარებლით მთლად საქართველო მოვიარეთ. ამავ დასის საფუძველზე 1914 წელს ბათუმში დავაარსე „დრამატული საზოგადოება", ხოლო 1917 წელს ერთ-ერთი ინიციატორი ვიყავი „მსახიობთა კავშირისა" და „მწერალთა კავშირის" დაარსებისა. 1921 წლიდან გვერდში ამოვუდექი, როგორც თეატრალი და მწერალი საბჭოთა საქართველოს. 1921 წლიდანვე მომიწვიეს მაშინდელ განათლების კომისარიატში და სარეპერტუარო კომიტეტის თავმჯდომარედ დამამტკიცეს, იქიდან მოკიდებული დღემდე (იგი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე იყო) ერთ-ერთი ორგანიზატორი და შენებელი ვარ ქართული თეატრალური ცხოვრებისა, ხოლო, როგორც მწერალმა ჩვენი ხალხის ეს „ძველი" და „ახალი" ცხოვრება ჩემებურად ავსახე ჩემს პიესებსა და ბელეტრისტულ ნაწარმოებებში. თუ როგორ შევძელი ყოველივე ეს, ამის განსჯა თქვენთვის მომინდვია. თქვენ ხომ, როგორც მომხსენებელმა ჩემს 80 წლის იუბილეზე მსჯავრი უნდა გამოუტანოთ ჩემს მცირედ ნაღვაწსა და ნამოქმედარს.

— რატომ მცირედს, — სიტყვა ჩავუჭერ ბატონ შალვას — თქვენი დიდი დამსახურება ქართული თეატრისა და ქართული მწერლობის წინაშე უკვე შეაფასა ქართველმა ერმა და გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის მაღალი ტიტული გიბოძათ — ბუნებით მომადლებული ნიჭის წყალობით თქვენ ერის ორ სალოცავ ღმერთს — თეატრსა და მწერლობას ღირსეული სამსახური გაუწიეთ; ამიტომაც ერთ-ერთს პირველს მოგენიჭათ საქართველოს სსრ სახალხო არტისტის წოდება და პირველი მწერლებს შორის თქვენ აგირჩიეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. თქვენი მშობლიური ხალხის ეს დაფასება უანგარო და პატიოსანი შრომით დაიმსახურეთ.

იგი ადგა, გადამეხვია და მაკოცა. მის თვალებში პირველად შევნიშნე ცრემლები, ეს იყო ცრემლი სიხარულისა...

მაღალი თეატრალური გემოვნებითა და საყოველთაო სახალხო სიყვარულით აღინიშნა მისი 80 წლის იუბილე. ჭარმაგი მოხუცი სცენაზე იდგა ისევ მხნე, ისევ მღერალი. მეორე დღეს იგი მწერალთა კავშირში მოვიდა და მადლობა გადამიხადა მოხსენების გამო.

— განსაკუთრებით მეამა „გიორგი რუსი" რომ შეაქეთო — მითხრა.

— ჩემს „გიორგი რუსს" ათი წელი მოვანდომე, მაგრამ გამოგიტყდებით და გეტყვით, ზოგიერთი პიესა, მაგალითად: „ცოცხი და ლოკოკინა", „არაფერიც არ იქნება", „უწა-უწა" სახელდახელოდ დაწერილია, არ არის ლარში გამოყვანილი. ამას თეატრი მოითხოვდა, პიესა გვჭირდებოდა და პიესები კი არსად ჩანდა. მეც, როგორც რეჟისორი და ხელმძღვანელი თეატრისა, იძულებული ვიყავი სახელდახელოდ მეწერა ან როგორც იტყვიან, გამომეცხო ხოლმე. საერთოდ, დიდად გაოცებული შევიქენი, როდესაც გავიგე, რომ ლევ ტოლსტოიმ თვითონ თავის ხელით რამდენჯერმე გადაწერა მისი დიდებული რომანი—„ომი და მშვიდობა"—მე კი წერით ძალიან ჩქარა ვწერ და წლობით მოფიქრებულ თხზულებას ხშირად რამდენიმე თვეში ვამთავრებ. იმ დროს ჩემი ნაწერის შავს, საკვირველია, მაგრამ არასოდეს ჩავასწორებ ხოლმე. პირდაპირ ჩემს შავს გადავცემ რედაქციას ან გამომცემლობას. ეს აჩქარება ეტყობა განსაკუთრებით ჩემს ზოგიერთ პიესას, რომანზე კი, როგორც ვთქვი, დიდხანს ვიმუშავე. ზოგ დრამატულ ნაწარმოებსაც დიდხანს ველოლიავებოდი ხოლმე. ასე დავწერე მე „გუშინდელნი", „კაკალ გულში", „თეთნულდი", „ნაპერწკლიდან", და მგონია, არც ისე ურიგონი არიან...

სწორედ ამ დროს მარიჯანი შემოვიდა, მოგვესალმა, ბატონი შალვა ადგა და ხელზე ემთხვია მარიჯანს, ლამაზი ღიმილით, კომპლიმენტებით შეამკო და შინაურულად მოიკითხა. მარიჯანი, რომ გავიდა, ისევ ფეხზე წამოუდგა. ქათინაურით გააცილა...

* * *

ბატონი შალვა 85 წლისა იყო უცბად რომ შეუძლოდ შეიქნა, იგი სამკურნალოდ IV სამმართველოს საავადმყოფოში დააწვინეს. დაძაბუნება და სიბერე არ შესტყობია. არც სკლეროზი მიკარებია მის გონებას. ამიტომაც საავადმყოფო და შალვა ძნელად წარმოგვედგინა. იმავე სართულზე ქალთა განყოფილებაში ჩემი მეუღლე იწვა. იმ დღეს ჩემმა მეუღლემ მწერალთა კავშირში დამირეკა, წუხელის შალვა ცუდად გახდაო. მაშინვე წაველი და ვინახულე. იმ დღეს უფრო დიდხანს დავჰყავი მასთან. მას თავზე ადგა მეუღლე — ქალბატონი ნინო. მე რომ შევედი, ქალბატონი ნინო ჩემს მეუღლესთან გავიდა. რაკი მარტო დავრჩით, შალვამ მომმართა; ვატყობ, რომ სიკვდილი მეპარება. აი სადღაც, ამ ეზოშია დამალული და ამაღამ თუ არა ხვალ შემოალაჯებს.

— შალვა შენთან სიკვდილს რა ხელი აქვს, ჩვენ რომ ასი წლის იუბილეს გადაგიხდით, ამაზე მას შემდეგ ვილაპარაკოთ-მეთქი.

— არა, ამას იმიტომ კი არ მოგახსენებთ, თითქოს სიკვდილისა მეშინოდეს. სიკვდილისა კი არ მეშინია, ხომ 85 წლისა მოვიყარე და ამ მშვენიერ სიცოცხლესთან გაყრა მენანება, თურმე გაუმაძღარია კაცის გული. მე ხომ დიდი ეპიკურელი და უზომო მოტრფიალე ვარ ცხოვრებისა. შეჩერდა. პირველად ვნახე ასე გულგატეხილი შალვა. სადღა იყო ის შალვა! წინა დღეს უკეთეს გუნებაზე იყო. მიამბო, დღეს ჩემთან იყოო ალიო ადამია და საბოლოო ვარიანტი გადავეცით ახალი წიგნის „რაც გამახსენდა". ექთანი რომ შემოვიდა, იმას დიდი ქათინაურებით მიმართა. დღეს კი სულ სხვა შალვა ვიხილე.

— მე ვამაყობ, რომ ვიყავი ერთ-ერთი მსახური დიდი ქართული მწერლობისა და თეატრისა, მიღებული ხმით მესაუბრებოდა ავადმყოფი შალვა. — განსაკუთრებით კი თეატრისა. ერთხელ ნინო ჩხეიძის ბენეფისი უნდა გავემართა ქუთაისში. ლადო მესხიშვილმა ურჩია, კარეევის პიესა «Роковой шаг». ჩვენი სასიქადულო არტისტის, ქალბატონ ნინოს თხოვნით სახელდახელოდ ვთარგმნე ეს პიესა. იმ პიესაში ერთი სასიმღერო ლექსიც იყო. ის ლექსი ასე გადმოვაქართულე:

—მხოლოდ შენ ერთს, მხოლოდ
შენ ერთს,
რაც რომ ჩემთვის მოუცია
მაღლიდან ღმერთს
სიყვარული, სიხარული
მხოლოდ შენ ერთს,
მხოლოდ შენ ერთს...
სიცოცხლეში, საფლავშიაც
შენთან ერთად, შენთან ერთად.

ტექსტს მსახიობ კოტე სარჯველაძესთან ერთად მელოდია მოვარგეთ. ისე გავრცელდა მელოდია და ტექსტიც, რომ ხალხი ახლაც მღერის, მხოლოდ იშვიათად თუ ვინმემ იცის რომ ამ ლექსის ავტორი მე ვარ...

— ვხედავ, მე აქედან ცოცხალი ვერ გამოვაღწევ. ვიცი პირველი კითხვა იქნება — სად დავმარხოთო... სიტყვა გაუწყდა. ვერც მე მოვახერხე ხმის გაღება — მამაჩემის გვერდით — დიაბ ბერთემში...

ახლა კი შევეპასუხე — ბატონო შალვა რა დროს ამაზე საუბარია, ჩვენ კიდევ დიდხანს უნდა ვიცოცხლოთ და ვიბრძოლოთ ერთად. გაფითრებულ პირსახეზე ღიმილი გადაეფინა და ისევ მომიპრა სიტყვა.

— არა, მე ვხედავ, აგერ მიქელ-გაბრიელი ზევიდან დამცქერის და ეღიმება... მე იმასა გთხოვ, რომ ეს ჩემი ანდერძი დაიმახსოვრო...

მართლაც, იმ საღამოს გარდაიცვალა შალვა დადიანი. მაგრამ სამდივნოზე და პრეზიდიუმზე კი არ დასმულა საკითხი სად დაეკრძალათ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს გადაწყვეტილებით მთაწმინდის პანთეონში მიეჩინა საბოლოო განსასვენებელი. თავისი უანგარო საზოგადოებრივი მოღვაწეობით, როგორც გამორჩეული პიროვნება და მწერალი იგი უთუოდ იმსახურებდა ამ დიდზე დიდ დაფასებას.

სერგი ჭილაია.

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

ბრაზილია — ესპანეთი: თბილისში დაწყებული დავა მოსკოვში დასრულდა. (სურათზე: თბილისში გამართული ბრაზილია-ესპანეთის მატჩის ფრაგმენტი).

ზ. კრიმსკის ფოტო.

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

და მაინც ყაიმი

მეორე გადადებული პარტიის ანალიზს მეტოქეებმა და მათმა სეკუნდანტებმა დიდი დრო მოანდომეს. საერთო დასკვნით უპირატესობა, ცხადია, კასპაროვს ჰქონდა, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი მაინც ინარჩუნებდა პარტიის ხსნის შესაძლებლობას. პოზიციის თავისებურება ისიც გახლდათ, რომ კასპაროვს დიდი არჩევანი ჰქონდა, მაგრამ რომელი გაგრძელება იყო უფრო ლოგიკური?!..

შეხვედრის განახლებისას პრეტენდენტმა გადაწყვიტა დაეთმო ცენტრალური გამსვლელი პაიკი, ამასობაში ეტლი გაეცვალა და ახლა მოწინააღმდეგის კუ და მხედარი შავების ეტლსა და ძლიერ განაპირა გამსვლელ პაიკს უნდა გამკლავებოდნენ. მაგრამ, მას შემდეგ რაც კარპოვმა თავისი ძალები ვირტუოზულად გადააჯგუფა და შავი ეტლის საკუთარ განლაგებაში შეჭრა აღკვეთა, კასპაროვის ჩანაფიქრის განხორციელება ძნელი აღმოჩნდა. თუმცა, პრეტენდენტი, უკანასკნელი გამსვლელი პაიკის დათმობის შემდეგ, მაინც შეიჭრა მეტოქის ბანაკში, მაგრამ თეთრი კუს დასკვნითი ელეგანტური მანევრით ყველაფერი გაირკვა და მეტოქენი დაზავდნენ.

მატჩის მეორე პარტია გადადებული იყო ასეთ პოზიციაში: კარპოვი (თეთრები) — მეf2, ეd7, მd8, კe1, პპ. f5, g2, h3 (7). კასპაროვი (შავები) — მეg8, ეa8, ეe8, პპ. a4, f7, g7, h7 (7).

პარტია ასე დამთავრდა. 41. ... ეb8 (კასპაროვმა ეს სვლა ჩაიწერა). 42. მc1 ეb1 43. მa2 ეa8 44. ეe7 ეb2 45. ე:e2 ე:e2+ 46. მე:e2 ეe8+ 47. მეf2 h5 48. კc3 ეb8 49. კb4 ეd8 50. მეe2 a3 51. კc3 f6 52. კb4 მეf7 53. მc3 ეb8 54. მa2 ეb5 55. g4 ეb8 56. მეd3 ეd8+ 57. მეc4 ეd1 58. კ:a3 ეa1 59. მეb3 ეh1 60. gh ე:h3+ 61. მc3 ეf3 62. კc1 ე:f5 63. h6 g6 64. მe4 ეh5 65. კb2. ყაიმი.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 1,5:0,5 კასპაროვის სასარგებლოდ.

გ. გამრეკელი.

მესამე პარტია, რომელიც გუშინ უნდა გამართულიყო, 10 სექტემბრისათვის გადაიდო — მსოფლიო ჩემპიონმა პირველი ტაიმაუტი აიღო.

ბრაზილია — მსოფლიო ჩემპიონი

გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ფეხბურთში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატის ორი უკანასკნელი, დამაგვირგვინებელი შეხვედრა: ფინალი და მატჩი მესამე ადგილისათვის.

—ჩვენ ხშირად გვსაყვედურობენ, რომ დაცვით ტაქტიკას ვირჩევთ, მე კი მგონია, რომ აუცილებლად არ იმარჯვებს ის გუნდი, რომელიც გამუდმებით უტევს. წარმატებას ხშირად აღწევს ის, ვინც თავის შესაძლებლობების გათვალისწინებით, გონივრულად აგებს თამაშს დაცვაში და დროდადრო ანხორციელებს კონტრშეტევებსა და შეტევებს. ჯერჯერობით ჩვენი გუნდის ტაქტიკა ამ ტურნირში ამართლებს. როგორი იქნება ფინალი? როგორც ცნობილია ჩვენ უკვე შევხვდით ბრაზილიელებს თბილისში და წავაგეთ — 0:2. ასე რომ მათთან თამაშის გამოცდილება გვაქვს და ვეცდებით მაქსიმალურად გამოვიყენოთ იგი. — განაცხადა ფინალური მატჩის წინ ესპანეთის ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელმა, წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა ხესუს პერედამ.

და მართლაც, უშედეგოდ გამოდგა ფინალური ორთაბრძოლა. ესპანელები მედგრად უმკლავდებოდნენ ბრაზილიელთა შეტევებს. ძირითადი დრო უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა. ბრაზილიელებმა ვერც რიცხობრივი უპირატესობა გამოიყენეს (მეორე ტაიმში უხეში თამაშისათვის მინდვრიდან გააძევეს ესპანელი ფეხბურთელი). მხოლოდ დამატებითს დროში, 92-ე წუთზე შეძლეს ბრაზილიელებმა მეტოქის კარის აღება. ამ ერთადერთმა ბურთმა ჩემპიონობა ბრაზილიელებს მოუტანა.

არ გამართლდა ესპანელთა მწვრთნელის ვარაუდი, გაიმარჯვა შემტევმა ფეხბურთმა.

ბრინჯაოს მედლებისათვის ნიგერიელ თანატოლებთან შეხვედრაში საკმაო ხნით რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად (მეორე ტაიმის ნახევარი და მთელი დამატებითი დრო) ჩვენმა ფეხბურთელებმა კვლავ პენალტებამდე მიიყვანეს საქმე და კვლავ მეტოქეებზე უზუსტონი აღმოჩნდნენ — 1:3.

ამრიგად დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილიელებმა მეორედ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. მეორე ადგილი წილად ხვდა ესპანეთის ნაკრებს, მესამე — ნიგერიელებს, სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა.

სატურნირო ორბიტა

ფეხბურთი. გაიმართა პირველი ლიგის ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩები. „ა" ჯგუფი: ბათუმის „დინამო" — სტავროპოლის „დინამო" — 3:2, ასკ „კარპატი"-„კოტაიკი" — 3:0, „კოლოსი"-„როტორი" — 1:0, „პამირი"-ხაბაროვსკის ასკ — 1:0; „შინიკი"-„ლოკომოტივი" — 2:2. „ბ" ჯგუფი: „კრილია სოვეტოვი"-„გურია" — 0:2, „ფახთაქორი"-„ნისტრუ" — 2:0, „ზვეზდა"-„მეტალურგი" — 4:2, „ყუბანი"-„სპარტაკი" — 4:0, „ისკრა"-„კუზბასი" — 1:3.

ახლახან 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მონაწილე გუნდებმა ამხანაგური შეხვედრები გამართეს: — ქ. ჰერენვენში ჰოლანდიის ნაკრებმა უმასპინძლა ბულგარეთის ნაკრებს და დაამარცხა ანგარიშით 1:0. ბრნოში ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრა დასრულდა მასპინძელთა გამარჯვებით — 3:1.

ჰოკეი. საფრანგეთის ქალაქ მეჟევში გრძელდება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური ტურნირი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ცსკამ მეორე შეხვედრაში დაამარცხა პოლონეთის „პოლონია" — 11.0, მესამეში — შვეციის უძლიერესი კლუბი — სტოკჰოლმის აიკი — 5:1.

ტყვიის სროლა. კარგად ასპარეზობენ საბჭოთა სპორტსმენები ოსიეკში (იუგოსლავია) დაწყებულ ევროპის პირველობაზე — მათ უკვე 6 ოქროს, 3 ვერცხლისა და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ქართველ სპორტის მოყვარულთათვის განსაკუთრებით სასიხარულოა თბილისელი ქალიშვილის ნინო სალუქვაძის წარმატება. მან 586 ქულით კონტინენტის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ახალგაზრდებს შორის სტანდარტული პისტოლეტის სროლაში. გუნდურ შეჯიბრებაშიც მისმა თანაგუნდელებმა იმარჯვეს — 1737 ქულა.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

მხატვრის ღიმილი

უსიტყვოდ.

მამა და შვილები.

ი. ყუინაშვილის ნახ.

ოპერა „დაისი" ერევანში

(დასასრული)

დენად ორგანულადაა ურთიერთდაკავშირებული, ჩვენი ხალხების სულიერი მისწრაფებები იმდენად ახლობელი და გასაგებია ერთმანეთისათვის, რომ ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ეს ისტორიული სინამდვილეა. და ჩვენი ურთიერთობის განმტკიცების, ურთიერთგამდიდრების ყოველი ფაქტი მხოლოდ სიხარულს იწვევს. აი ახლაც ასეა.

ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „დაისი" უკვე მეორედ იდგმება ერევნის თეატრის სცენაზე. საქართველოში ჩვენი ეროვნული ოპერის მარგალიტის, ქართული მუსიკალური ხელოვნების სიამაყის სომხეთში ახალი დადგმის ფაქტი აღვიქვით იმ ტრადიციის გაგრძელებად, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჩვენი თეატრალური კულტურების განვითარების გარიჟრაჟზე.

ჩემთვის ცნობილია, როგორ აღიქვეს ჩვენმა სომეხმა მეგობრებმა ქართული საოპერო ხელოვნების წარმატებები მოსკოვში ბოლო გასტროლების დროს.

დასასრულ მინდა, გულწრფელი მადლობა გადავუხადო ა. სპენდიაროვის სახელობის თეატრის კოლექტივს, რესპუბლიკის მთელ თეატრალურ საზოგადოებრიობას შესანიშნავი პრემიერისა და ესოდენ გულითადი მასპინძლობისათვის.

ზურაბ ანჯაფარიძე, რეჟისორი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, პროფესორი: — ჩვენი ხალხების მეგობრობასა და ძმობას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ძალიან გამიხარდა, როცა ერევნის საოპერო თეატრმა მომიწვია ჩვენი კლასიკური ოპერის დასადგმელად. ვიცოდი, რომ ზაქარია ფალიაშვილის ამ შედევრს ერევნის სცენაზე დიდი წარმატება ჰქონდა ჯერ კიდევ ოთხი ათწლეულის წინათ. ასე რომ, მუშაობას განსაკუთრებული მღელვარებით შევუდექი. გარდა ამისა, სიამოვნებით ვმუშაობდი ერევანში, სადაც არაერთხელ გამოვსულვარ როგორც მომღერალი. ამ თეატრში ბევრი მეგობარი მყავს. სოლისტებს შორის არ მინდა ვინმე გამოვყო, ყველამ თავისი ღირსეული წვლილი შეიტანა პრემიერის წარმატებაში. არ შემიძლია არ გამოვთქვა შემსრულებლებითა და გუნდით გამოწვეული აღფრთოვანება. კომპოზიტორის ჩანაფიქრით ხომ სპექტაკლის ძირითადი სიმძიმე გუნდზე მოდის. სპენდიაროვის სახელობის თეატრის გუნდი ჩინებულად გამოვიდა.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი გარემოება. ვინაიდან ვადა შეზღუდული იყო, ახალი დეკორაციების შექმნა კი რთული, გადავწყვიტეთ სპექტაკლი აგვეგო ოპერა „ანუშის" გაფორმების საფუძველზე, რა თქმა უნდა, ზოგიერთი ცვლილებით. ახლა ვგრძნობ, რომ აქ სხვა აზრიც არის. ჩვენი ეროვნული მუსიკის მარგალიტები „დაისი" და „ანუში" ერთ საფუძველზე იდგმება. ეს სიმბოლურად გამოხატავს ჩვენი ხალხების მეგობრობას, ჩვენი ხელოვნების ღრმა ნათესაობას. დღეს ორივე ხალხის მუსიკალური კულტურის დღესასწაულთან დაკავშირებით მადლობას ვუხდი თეატრის მთელ კოლექტივს.

პრემიერის წარმატების შემდეგ გამიჩნდა ახალი ჩანაფიქრი — ახლო მომავალში ჩამოვიდე აქ ზ. ფალიაშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სოლისტებთან ერთად. ვფიქრობ, რომ მათი მონაწილეობით სპექტაკლს კარგად მიიღებენ.

ელვირა უზუნიანი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი: — სულიერად ჩემთვის ძალზე ახლოა მაროს სახე. ბავშვობიდან ვიცნობ ოპერა „დაისს", მაროს სახე ძალზე მომწონს. ამ პარტიის ინტონაციები, მისი შესრულების ხასიათი ასევე ახლობელია ჩემთვის. ამიტომაც სიამოვნებით დავიწყე მასზე მუშაობა.

დიდად მადლობელი ვარ აგრეთვე დამდგმელი რეჟისორისა. ეს მარტო ჩემი პირადი აზრი როდია. სპექტაკლის ყველა მონაწილე იზიარებს მადლიერების გრძნობას. ზურაბ ანჯაფარიძე დიდად მომხიბლავი მომღერალია, ასევე ნიჭიერი დამდგმელიცაა.

რევაზ ტაკიძე, დირიჟორი: — ერევნის ორკესტრი გამოირჩევა ოსტატობით. ჩვენი დღევანდელი დადგმა სულ თვე-ნახევრის მუშაობის შედეგია. ყველა მუსიკოსი შთაგონებით, უმაღლესი უკუგებით უკრავდა. სპექტაკლის წარმატება ბევრად იყო დამოკიდებული ორკესტრის დაკვრის სიზუსტეზე. განსაკუთრებით მინდა გამოვყო სოლისტების შესრულება. ყველას დიდი მადლობა.

დავით პოღოსიანი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი: — დიახ, სწორედ 40 წლის წინათ ვმონაწილეობდი ოპერა „დაისის" ერევნისეულ დადგმაში. მახსოვს იმ წლების სპექტაკლები, რომლებიც, თუმცა ომი იყო, ხალხით სავსე დარბაზში მიმდინარეობდა. ბედნიერი ვარ, რომ კვლავ ვიმღერე ოპერა „დაისში". ისე მოხდა, რომ პირველი ოპერა, რომელიც ცხოვრებაში მოვისმინე, ფალიაშვილის „დაისი" იყო. ეს ჩემს ბავშვობაში მოხდა. მრავალი წლის შემდეგ უკვე თავად განვასახიერე სცენაზე ცანგალას სახე, რომლის პარტიასაც სიყმაწვილიდანვე ვასრულებდი — ოჯახურ და სკოლის სპექტაკლებში. შემდეგ ვმონაწილეობდი ვიქტორ დოლიძის საოპერო სპექტაკლ „ქეთო და კოტეში".

ზ. ფალიაშვილის ოპერა მდიდარია ხალხური მელოდიებით, რომლებიც თითოეულ ადამიანს გულში სწვდება. იგი არა მარტო ქართველ ხალხს, არამედ ყველა ხალხს ეკუთვნის. ჩემი აზრით, ეს ჭეშმარიტად კლასიკური ნაწარმოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

სასიხარულოა მუშაობა ზურაბ ანჯაფარიძესთან, ამ მაღალპროფესიონალ მუსიკოსთან და შესანიშნავ ადამიანთან. ჩვენი თანამშრომლობა მეტად ნაყოფიერი იყო.

ჩვენი თეატრი განაგრძობს სომეხი მაყურებლისათვის ქართველ ავტორთა ნაწარმოებების წარმოდგენის ტრადიციას.

მოსკოვი

8 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — კონცერტი. 10.00 — „სპორტლოტო". 10.10 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ტანკები ტანკების წინააღმდეგ". 10.30 — მაღვიძარა. 11.00 — ვემსახურები საბჭოთა კავშირს! 12.00 — ჯანმრთელობა. 12.45 — „დილის ფოსტა". 13.15 — „ერალაში". 13.30 — სოფლის საათი. 14.30 — მუსიკალური კიოსკი. 15.00 — დოკუმენტური ფილმი „გამარჯვების პარადი". 15.55 — მოგზაურთა კლუბი. 17.00 — დღეს ტანკისტის დღეა. 17.15 — კონცერტი. 18.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „ტორპედო" — „სპარტაკი". 19.45 — საერთაშორისო პანორამა. 20.35 — მულტფილმები დიდებისათვის. 21.05 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ტელეფილმი „ტაიგა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 23.05 — „სოპოტი-85".

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — ყოველ ნახატში მზეა. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.00 — რუსული მეტყველება. 10.30 — ხაბაროვსკის ტელესტუდიის პროგრამა. 11.25 — ცხოველთა სამყაროში. 12.25 — წყალთხილამურები. 13.15 — საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები. 13.50 — სტუმრად ზღაპართან. 15.25 — კონცერტი. 15.55 — მულტფილმები. 16.25 — „დებიუტი". მევიოლინეთა ანსამბლი. 16.55 — მძლეოსნობა. 17.35 — მხატვრული ტელეფილმი „სინდისი" მეორე სერია. 19.00 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 19.35 — დ. კაბალევსკი. „კოლა ბრუნიონი". ფილმ-კონცერტი. 20.30 — ფეხბურთი. თბილისის „დინამო" — „ზენიტი". მე-2 ტაიმი. 21.30 — დოკუმენტური ფილმები. 22.00 — „ვრემია". 22.35 — მხატვრული ფილმი „პირველი სიყვარული".

9 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — საფეხბურთო მიმოხილვა. 10.05 — ნორჩთა შემოქმედება. 10.35 — დოკუმენტური ტელეფილმი. 11.05 — მხატვრული ტელეფილმი „დიადი მგეშავი". 16.35 — დრამატურგია და თეატრი. ა. მ. გორკი — „მეშჩანები". 17.30 — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღე. 17.50 — დედის სკოლა. 18.20 — გამოგვეხმაურეთ მეზუკენო! 18.50 — ბულგარეთის ეროვნული დღესასწაული — თავისუფლების დღე. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — საქმენი და ადამიანები. 20.35 — მხატვრული ტელეფილმი „ქალაქი თავს ზემოთ". პირველი სერია. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ბალეტის შესახებ. 0.05 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 19.30 — რიტმული ტანვარჯიში. 20.00 — ჭაბუკ მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატი (რუმინეთიდან). 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — საერთაშორისო პანორამა. 22.00 — „ვრემია". 22.35 — ბულგარული მხატვრული ტელეფილმი „მხოლოდ ორშაბათების წელი". 23.55 — ახალი ამბები.

ჩვენს ეკრანებზე

თბილისი

8 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.15 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.25 — დილის გასართობი პროგრამა. 11.00 — სამეურნეო მექანიზმი — სიახლენი, პრობლემები, — „სამუშაო ადგილების ატესტაცია ტექნიკური პროგრესის სამსახურში". 11.30 — „საკვირაო გამოფენა". 11.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იკითხეთ, უყურეთ, უსმინეთ". 12.00 — „ჯანმრთელობა" —სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.). 12.45 — „დილის ფოსტა" (მ.). 13.15 — „კინოაფიშა". 13.45 — ხალხური შემოქმედება — სიმღერის შესწავლა. ხალხური სიმღერა „აღარ მწადია ცხვარშია". (გაკვეთილს უძღვება რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მამია ხატელიშვილი). 14.15 — საკვირაო გამოფენა. 14.20 — „ვესტნიკი". 14.50 — „ამბავი ნამდვილი ადამიანებისა" — მხატვრული ფილმი „ბურჯი და იმედი". 16.25 — საკვირაო გამოფენა. 16.30 — ეკონომიკა ყველა ჩვენგანის საზრუნავია. 16.55 — საკვირაო გამოფენა. 17.00 — დღეს ტანკისტის დღეა (მ.). 17.15 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „ივერიანა" — „ჩვენთვისაც მოვიცალოთ". 17.45 — ახალგაზრდობისათვის — კონცერტი „მღერიან ვახტანგ და მაია გლუნჩაძეები". 18.35 — საკვირაო გამოფენა. 18.45 — „მოამბე". 19.30 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: თბილისის „დინამო" — ლენინგრადის „ზენიტი". რეპორტაჟი თბილისის ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენების დროს „ზღაპრის გუდა". 21.15 — სატელევიზიო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ნადირობა". 22.00 — „ვრემია". 22.35 — საფეხბურთო მიმოხილვა (მ.). 23.05 — საესტრადო სიმღერის საერთაშორისო ფესტივალი. „სოპოტი-85" (მ.).

9 სექტემბერი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.35 — „მოამბე". 10.20 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ეძებე მოკავშირე ბუნებაში". 10.35 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მივლინება" (მ.). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.20 — თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „წეროები". 17.00 — მეგობრების გამოცდილება — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მეტალურგთა დიალოგი". 17.20 — განცხადებები. 17.30 — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო — კინონარკვევი „ტირიფი მდინარე ტედონგანის ნაპირას" (მ.). 17.50 — მოსწავლეთათვის — „იმერული ჩანახატები". 18.20 — საერთაშორისო დღიური 18.50 — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული დღესასწაულის გამო — ბულგარეთის ტელევიზიის პროგრამა (მ.). 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — „მოამბე". 20.30 — ახალგაზრდობისათვის — უჩვენებს სატელევიზიო თეატრი. ი. გარუჩავა, პ. ხატიანოვსკი — „ალსარება". 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: მინსკის „დინამო" — ქუთაისის „ტორპედო". 8 სექტემბრის შეხვედრის მეორე ტაიმის ვიდეოჩანაწერი. 23.20 — საფორტეპიანო მუსიკის კონცერტი. 23.45 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — დოკუმენტური ფილმი „საბჭოთა ხელოვნების სათავეებთან". 17.50 — მხატვრული ფილმი „ალისფერი ყვავილი".

თეატრი

8 სექტემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **დონ კიხოტი** (პირველი აბონ. პირველი წარმ., დღისით), **დონ ჟუანი** (მეოთხე აბონ. პირველი წარმ., საღამოს).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06298 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოზარაულის ვ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14